maculipennis*, *An. subalpinus*, *An. melanoon*, *An. sacharovi*) ტაქსონომიური სტატუსი
და გავრცელება საქართველოში. კოლხეთის დაბლოზის (დასავლეთ საქართველო)
ცენტრალურ ზღვისპირა ლანდშაფტში დომინირებს *An. subalpinus*, ლაგოდების
რაიონის (აღმოსავლეთ საქართველო) აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან მიმდებარე
ტერიტორიაზე კი *An. sacharovi*. საქართველოს დანარჩენ ადგილებში 0-დან 2000 მ
ზღვის დონიდან დომინანტურ სახეოზას *An. maculipennis*-ი წარმოადგენს. ამ
უქანასწელთან ერთად ლოკალურად გვხვდება აგრეთვე *An. melanoon*. ეს
სიმპატრული სახეოზები ერთმანეთისგან განსხვავდებიან არა მარტო
მორფოლოგიურად და ციტოგენეტიკურად, არამედ ეკოლოგიურადაც და ერთობლივი
გავრცელების ადგილებში მათი წყლის ფაზების ბიოტოპები განცალკევებულია. *An.
maculipennis* - ის იმაგოსწინა ფაზები მდინარეებითა და წყაროს წყლებით მკვებავ
წყალსატევებში (ქალის წყალსატევი, კარიერი, დაჭაობება, მდინარის ნაპირი,
ნამდინარევი, ტბა, წყალსაცავი) ვითარდებიან. *An. subalpinus* - ის წყლის ფაზები კი -
გრუნტის წყლებით მკვებავ ჭაობებსა და დაჭაობებაში, *An. melanoon* - ის მატლები -
ქალის ჩაკეტილ წყალსატევებში, ხოლო *An. sacharovi* - ს იმაგოსწინაფაზები -
გრუნტის წყლებით მკვებავ და მარილების გაზრდილი შემცველოზის წყალსატევებში.

STUDY OF THE PRINCIPAL VECTORS OF MALARIA IN GEORGIA

Sh.Sichinava, V.Mgeladze

S. Virsaladse Scientific Research Institute of Medical Parasitology and Tropical Medicine,
Georgian Ministry of Health, Tbilisi

S u m m a r y

In Georgia, on the grounds of morphological, hybridological, chromosomal and
ecological analyses taxonomic status and prevalence of the reproductively isolated
species (*An. maculipennis*, *An. melanoon*, *An. subalpinus*, *An. sacharovi*) of mosquitoes
of the "maculipennis" complex have been established. These sympatric species are timed
to the different zones and landscapes of the Republic. Biotopes of water phases of
development of these mosquitoes are different even in the places of joint existence.

УДК 576.895.422

ПАРАЗИТОЛОГИЯ

**МОРФОМЕТРИЧЕСКАЯ ХАРАКТЕРИСТИКА ГАМАЗОВОГО КЛЕЩА
LAELAPS PAVLOVSKYI ZACHV. (PARASITIFORMES, LAELAPTIDAE)**

П.Д.Сагдиева, А.С.Кандауров

Институт зоологии АН Грузии, Тбилиси

Поступила в редакцию 28.05.93

Приведены результаты морфологического изучения популяционной изменчивости взрослых клещей *Laelaps pavlovskyi*, собранных с азиатской лесной мыши (*Apodemus peninsulae* Thom.) в Сихоте-Алинском заповеднике.

Гамазовые клещи, благодаря своему морфологическому разнообразию, перспективны для исследования изменчивости членистоногих. У некоторых видов гамазовых клещей из сем. *Laelaptidae* и *Hirstionyssidae* известно такое своеобразное проявление внутривидового изменчивости, как наличие двух форм самцов — мелкой и крупной, различающихся также и по другим морфологическим характеристикам. Одни авторы называют таких самцов "полиморфными" [8], другие — "гетероморфными" [2,3], или же мелких — "гомеоморфными", а крупных — "гетероморфными" [3]. Для некоторых видов сем. *Laelaptidae* даны достаточно подробные описания мелких и крупных самцов, в частности, для *Laelaps micromydis* Zachv. [7], *L.dolomydis* Mrciak [22], *Androlaelaps glasgowi*(Ewing) [2]. В количественном аспекте явление полиморфизма у гамазовых клещей не исследовано.

В наших предыдущих работах [12,13] приведены предварительные данные по морфометрии *L. pavlovskyi*, а также детальное описание внутривидового морфологического разнообразия самцов и материалы, отражающие распределение клещей по отдельным признакам и их сочетаниям; следует подчеркнуть, что при исследовании больших серий *L. pavlovskyi* из Сихоте-Алиня нами был выявлен широкий внутривидовой спектр форм самцов, имеющих переходный характер от мелкой формы к крупной. В настоящей работе представлены данные по морфометрическому исследованию внутривидового разнообразия клещей *L. pavlovskyi*, преимущественно "полиморфных" самцов. Поскольку наш материал собран на относительно небольшой территории, не разделенной географическими преградами, мы считаем, что в нем представлены выборки из одной популяции изучаемого вида клещей.

МАТЕРИАЛ И МЕТОДЫ

Клещи собраны одним из авторов в Сихоте-Алинском заповеднике, на восточном макросклоне Среднего Сихоте-Алиня в 1971 г. с азиатской лесной мыши. Подробная характеристика материала и природных условий района работы приведены в нашей предыдущей публикации [12].

Поскольку самки изучаемого вида оказались морфологически однородными, а самцы — чрезвычайно разнообразными, последних пришлось брать для измерений больше, чем самок. В качестве основных признаков были избраны длина спинного щита и щетинок того же щита — как имеющие важное диагностическое значение. Изменчивость размерных признаков клещей была оценена по двум выборкам из 119 и 99 особей соответственно. В первой выборке, на предварительном этапе исследований измеряли по 6 признаков у 20 самок и 99 самцов, тогда как во второй выборке — по 42 признака у 20 самок и по 52 признака — у 79 самцов. В дальнейшем, в зависимости от конкретных расчетных задач, материал из первой и второй выборок обрабатывали как отдельно, так и в различных сочетаниях с соблюдением статистики. Для обработки результатов измерений использовали преимущественно общепринятые расчетные методики [6].

В нашей предыдущей работе [12] дано обоснование разделения самцов *L. pavlovskiy* на 3 группы: мелких гомоморфных форм (около 78% от общего числа самцов), крупных гиперморфных (около 3%) и промежуточных (около 18%). Учитывая морфологическую неоднородность промежуточных форм, последние были разделены на 3 размерные группы по длине спинного щита с "шагом" в 35 мкм.

Для выявления корреляционных отношений между исследованными признаками было вычислено 190 попарных коэффициентов корреляции (r) между 20 признаками у самок и 1092 — по 25 признакам у самцов. Приводимые значения r достоверны по критерию χ^2 с 5%-ным уровнем значимости.

Результаты измерений 13 признаков у 64 самцов *L. pavlovskiy* из числа экземпляров наилучшей сохранности были обработаны по методу кластерного анализа с использованием алгоритма Isodata [16,18]. Благодаря однородности использованных признаков, отражающих линейные размеры клещей, стало возможным применение в алгоритме метрики Евклида; для работы программы было принято ограничение, предусматривающее, что наименьшее количество объектов в одном кластере составляет 10.

РЕЗУЛЬТАТЫ ИССЛЕДОВАНИЯ И ИХ ОБСУЖДЕНИЕ

Размеры и изменчивость самок *L. pavlovskiy* по 6 признакам представлены в табл. 1, из которой видно, что изменчивость щетинок D_5 несколько выше таковой щитов. При расчетах коэффициентов вариации (CV) для 42 признаков самок оказалось, что CV размерных признаков щитов обычно выше (2,7-6,5), чем щетинок (2,4-15,6) — см. также табл. 2. Из щетинок спинного щита самок наиболее крупные в ряду дорсальных хет- D_5 , вставочных — I_1 , субмаргинальных — S_4 , а маргинальных M_{10} M_{11} .

У самок *L. pavlovskiy* длина спинного щита скоррелирована положительно с другими промерами щитов с r от +0,45 до +0,68, а с длиной щетинок — от +0,45 до +0,58. Исследованные признаки скоррелированы между собой, как правило, положительно, за исключением щетинок S_4 , для которой в одних случаях оказались

* Хетатаксию клещей приводим по А.А.Захваткину [4]

положительными (например, с длиной генито-вентрального щита +0,47), а в других — отрицательными (например, с шириной стернального щита -0,49, с длиной щетинки D_8 -0,58).

Для того, чтобы статистически охарактеризовать внутривидовую изменчивость признаков *L. pavlovskiy*, прежде всего рассмотрим ряд признаков исследованных признаков от гомоморфных форм к гиперморфным.

Спинные щиты "круглеют", составляя у гомоморфных форм в среднем 67, а у гиперморфных — 73% ширины от длины щита. Размеры спинного и брюшного (стерно-вентро-анального) щитов увеличиваются в 1,2-1,3 раза.

Характер изменений щетинок брюшного щита неодинаков. Некоторые щетинки (Sc , D_5 , I_1 , S_2 - S_4 , M_3 - M_{11}) увеличиваются по абсолютной величине резко, непропорционально размерам тела — до 2 раз. Другие щетинки (F_3 , V , T_1 , T_2) почти не изменяются. Незначительно и одноотипно изменяются щетинки дорсального ряда (кроме D_5), а также I_2 , I_3 : от гомоморфных форм ко второй размерной группе они несколько уменьшаются, в третьей размерной группе увеличиваются, а у гиперморфных — снова уменьшаются. Сходным образом изменяются и S_1 , S_5 - S_7 , но здесь эти изменения выражены нечетко. Щетинка S_8 слабо уменьшается.

Большинство щетинок брюшного щита не проявляет существенных изменений. St_1 - St_5 Ve_2 - Ve_4 незначительно увеличиваются, а Ve_1 и ad слабо колеблются по размерам. Значительно увеличивается лишь Pa .

Своеобразную картину дает изменчивость, а также изменения абсолютной величины сперматоактиля. Во всей выборке у сперматоактиля оказался наиболее низкий CV среди исследованных признаков (табл. 2). Отмечена слабая положительная корреляция между длиной спинного щита и сперматоактиля ($r=+0,42$), а также перекрытие по длине сперматоактиля по всей выборке. Относительно размеров тела у гиперморфных самцов длина сперматоактиля несколько меньше, чем у гомоморфных (12,5 и 14,4% от длины спинного щита соответственно), а самый крупный сперматоактиль во всей выборке оказался у экземпляра из второй размерной группы.

Ввиду того, что у некоторых видов рода *Laelaps* "полиморфизм" не выражен, а переходные формы у "полиморфных" видов ранее не были зарегистрированы, рассмотрим изменчивость *L. pavlovskiy* как отдельно для гомоморфных и гиперморфных форм, так и с учетом разнообразия форм в популяции.

У гомоморфных самцов CV 5 размерных признаков щитов составили 3,2-5,2, а 44 щетинок — 6,6-17,9; для гиперморфных форм CV оказались выше и составили 5,6-6,4 и 8,5-21,2 соответственно.

Исследование изменчивости самцов *L. pavlovskiy* с учетом процентного соотношения разных форм в популяции показало, что изменчивость щетинки D_5 существенно выше, чем таковая щитов (табл.1).

Размеры и изменчивость шести признаков клещей *Laelaps pavlovskiy* в Среднем Сихоте-Алине

Самки* (n=40)				Самцы* (n=100)			
признак	$\frac{V \max}{V \min}$	M	CV	признак	$\frac{V \max}{V \min}$	M	CV
длина спинного щита	1,14	683,8	2,9	длина спинного щита	1,48	654,8	8,5
ширина спинного щита	1,13	491,1	3,5	ширина спинного щита	1,58	451,5	11,5
длина стернального щита	1,21	130,5	5,2	длина брюшного щита	1,46	542,3	8,8
ширина стернального щита	1,14	247,4	3,4	ширина брюшного щита в передней части	1,45	199,0	8,3
ширина генитовентрального щита	1,26	218,9	4,5	ширина брюшного щита в задней части	1,65	261,7	9,6
длина щетинки D ₅	1,31	73,5	5,5	длина щетинки D ₅	2,40	75,9	31,1

*) в таблицах 1 и 2 : n – объем выборки; $\frac{V \max}{V \min}$ – отношение максимального значения признака к минимальному [1]; M – среднее значение признака (в мкм); CV – коэффициент вариации при перечислении признаков щитов везде подразумевается: длина – срединная, ширина – наибольшая

Для сопоставления же изменчивости структур с разным характером колебаний по абсолютной величине приводим данные по 17 размерным признакам из выборки, в которой разные формы самцов представлены в статистически сопоставимых количествах (табл. 2). Оказалось, что изменчивость щетинок, резко увеличенных у гиперморфных и промежуточных форм (Sc , D_5 и др.) значительно выше, чем щетинок, относительно слабо изменяющихся по абсолютным размерам (D_2 , S_1 и др.). Однако CV промеров щетинок, как правило, превышали таковые щитов. При разных способах представления материалов для вычисления CV значения последнего для одних и тех же признаков оказывались сходными; в нашем материале CV обычно оказывался тем выше, чем больше амплитуда колебаний признака по абсолютной величине,

отражаемая соотношением $\frac{V \max}{V \min}$ (табл. 1,2).

Между размерами щитов и увеличенных у гиперморфных форм щетинок спинного щита обнаружена четкая положительная корреляция (r от +0,78 до +0,96 по всей выборке), причем у гиперморфных форм корреляция обычно несколько выше (r от +0,53 до +0,92), чем у гомоморфных (r от +0,48 до +0,90). Однако, размеры мелких щетинок дорсального (D), субмаргинального (S) и вставочного (I) рядов с длиной спинного щита коррелируют отрицательно (r от -0,34 до -0,74), тогда как между собой размеры рассматриваемых щетинок связаны положительной корреляцией (r от +0,34 до +0,82 по всей выборке).

Признак	Самки (n=20)		Самцы (n=79)	
	V_{max}	CV	V_{max}	CV
	V_{min}		V_{min}	
длина спинного щита	1,10	2,7	1,48	8,6
ширина спинного щита	1,12	3,4	1,53	10,7
длина стернального щита	1,30	5,6	-	-
ширина стернального щита	1,10	3,0	-	-
длина брюшного щита	-	-	1,50	9,1
ширина брюшного щита в передней части	-	-	1,45	8,8
ширина брюшного щита в задней части	-	-	1,43	9,8
длина генито-вентрального щита	1,12	3,7	-	-
ширина генито-вентрального щита	1,21	4,4	-	-
длина анального щита	1,26	6,1	-	-
ширина анального щита	1,28	6,5	-	-
длина сперматодактиля	-	-	1,30	4,6
длина щетинок спинного щита:				
D ₂	1,17	5,7	2,28	16,9
D ₅	1,31	5,9	2,98	28,9
Sc	1,33	7,8	3,16	32,7
S ₁	1,40	9,8	2,40	16,7
S ₄	1,15	4,8	2,89	30,7
S ₅	1,23	5,3	2,16	19,5
S ₈	1,20	9,3	1,50	7,0
I ₁	1,38	6,4	3,23	30,6
I ₂	1,29	6,6	2,16	17,4
M ₁₀	1,30	7,5	2,20	17,9
M ₁₁	1,20	6,7	1,89	13,6

*) обозначения те же, что и в табл. 1

При обработке данных по 13 признакам (размеры спинного и брюшного щитов, щетинки спинного щита S_C, D₅, I₁, S₄, M₈-M₁₁) по методу кластерного анализа оказалось, что при полном наборе данных внутримножественные расстояния минимальны при трех кластерах, то

есть с точки зрения сходства объектов внутри группы оптимальным является деление именно на три группы, причем в первый, второй и третий кластеры вошли преимущественно гомоморфные, промежуточные и гиперморфные формы соответственно.

По большинству исследованных признаков изменчивость самок *L. pavlovskiy* оказалась ниже таковой самцов. CV размерных признаков самцов превышали аналогичные показатели для сопоставимых признаков самок в 2-6,4 раза (табл. 1 и 2). У самок изменчивость по форме щитов и размерам щетинок выражена слабо, тогда как мелкие и крупные самцы заметно различаются по конфигурации щитов и размерам щетинок ([12] и данные настоящей работы).

Характер вариационных кривых по длине спинного щита у самок и самцов в целом сходен, но у самцов положительные эксцессы и асимметрия проявляются значительно более резко, чем у самок [12].

Обращает на себя внимание тот факт, что некоторым щетинкам, сильно увеличенным у гиперморфных самцов, соответствуют наиболее крупные щетинки той же номенклатуры не только у гомоморфных самцов, но и у самок.

Значения CV размерных признаков щитов и щетинок у самок *L. pavlovskiy* перекрываются, но изменчивость щетинок имеет более высокий верхний предел, чем щитов. У самцов же изменчивость щетинок (за исключением S_8) выше, чем щитов. Таким образом, налицо тенденция к превышению изменчивости щетинок по сравнению со щитами, более четко выраженная у самцов. Такая же тенденция обнаружена нами и у двух других видов *Laelaps* – *L. agilis* Koch [14] и *L. pitymydis* Lange [11] на Большом Кавказе. По данным Н.А. Филипповой [17] у взрослых и преимагинальных фаз таежного клеща (*Ixodes ptrsulcatus* Schulze) размеры щетинок более вариабельны, чем размеры спинного щитка. Это, очевидно, отражает закономерность, хорошо известную, например, для млекопитающих: наименьшая изменчивость присуща наибольшим по абсолютной величине промерам одного органа или системы органов и, напротив, наиболее вариабельны наименьшие по абсолютной величине промеры [19]. И щиты, и щетинки клещей можно отнести к единой функциональной системе, которая, наряду с другими задачами, обеспечивает приспособление к обитанию на теле хозяина – предохранение от раздавливания и фиксацию в шерсти.

Следует полагать, что вполне закономерна и обнаруженная нами невысокая изменчивость сперматодактиля; известно, что функционально важным органам, которые находятся под жестким прессом отбора, в том числе связанным с репродуктивной системой, присуща сравнительно невысокая изменчивость [20].

В пределах изученной популяции *L. pavlovskiy* отмечен некоторый сдвиг в сторону увеличения размеров особей, что отражается в положительной асимметрии вариационных кривых по длине спинного щита [12]. В том же направлении (положительной асимметрии) у самцов возрастает изменчивость размерных признаков, характеризующих "гиперморфность", а также несколько увеличивается скоррелированность этих признаков. Таким образом, крупные и мелкие самцы отличаются друг от друга не только по размерам, но и по другим особенностям.

Среди исследованных нами размерных признаков самцов *L. pavlovskiy* можно выделить 4 категории. К первой из них относятся резко и направленно изменяющиеся "гиперморфные" признаки, отражающие размеры щитов и более крупных щетинок спинного щита (Sc, D_5, I_1 и др.), связанные с длиной спинного щита и между собой положительной корреляцией; ко второй — значительно более стабильные по размерам мелкие щетинки спинного щита (D_1-D_4, S_5 и др.), связанные между собой положительной корреляцией, а с длиной спинного щита — отрицательной. Среди признаков спинного щита наибольшей размерной стабильностью и отсутствием каких-либо корреляционных связей с другими признаками отличается щетинка S_8 . Особняком среди исследованных признаков стоит длина сперматококлия с ее относительной размерной стабильностью и слабой положительной корреляцией с длиной спинного щита.

Таким образом, проведенное нами морфологическое [12] и морфометрическое исследование *L. pavlovskiy* показало, что в популяции изучаемого вида имеются сходные тенденции в проявлении изменчивости у относительно слабо изменчивых самок и значительно более изменчивых самцов, более четко выраженные у последних. Самцы *L. pavlovskiy* представлены четко отличающимися друг от друга мелкой и крупной морфами, а также континуумом из ряда переходных между ними форм [12], причем крупная (гиперморфная) форма образуется преимущественно за счет скоррелированного между собой увеличения размеров щитов и ряда щетинок. Возникает вопрос, можно ли такую изменчивость называть полиморфизмом. По определению Форда [21] полиморфизм — это существование в пределах популяции двух или более форм, встречающихся с большей частотой, которая могла бы быть обеспечена за счет повторяющихся мутаций; полиморфизмом принято называть прерывистую изменчивость в отличие от непрерывной [9]. Но детальное исследование природных популяций насекомых выявило, что у ряда видов жесткокрылых и чешуекрылых проявления полиморфизма и непрерывной изменчивости чрезвычайно сходны [5,10,15 и др.]. А.Г.Креславский [5] на обширных фактических материалах по изменчивости окраски у листоедов показал, что дискретная изменчивость в процессе эволюции возникает на основе непрерывной.

Учитывая все сказанное выше, интерпретация характера популяционной изменчивости *L. pavlovskiy* представляет известные сложности, тем более, что у других видов гамазовых клещей переходные формы между мелкими и крупными самцами не зарегистрированы. Ранее изменчивость самцов *L. pavlovskiy* интерпретировалась нами [13] как сочетание полиморфизма и непрерывной изменчивости. Однако, следует полагать, что для окончательного разрешения вопроса о характере "самцового полиморфизма" гамазовых клещей необходимы дальнейшие исследования тех видов гамазид, у которых имеются мелкая и крупная формы самцов.

ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. Берг Р.А. Применение мат. методов в биологии, 3, 1964, 23-60.
2. Брегегова Н.Г. В кн.: Клещи грызунов фауны СССР, М.-Л., 1955, 296—313.

3. *Брегетова Н.Г.* Гамазовые клещи (Gamasoidea), Из-во АН М.-Л., 1956.
4. *Захваткин А.А.* Паразитол. сборник ЗИН АН СССР, **10**, 1948, 51-76.
5. *Креславский А.Г.* Зоологический журн., **56**, 7, 1977, 1043-1056.
6. *Лакин Г.Ф.* Биометрия, "Высшая школа", М., 1980.
7. *Ланге А.Б.* Паразитол. сборник ЗИН АН СССР, **10**, 1948, 77-86.
8. *Ланге А.Б.* В кн.: Клеши грызунов фауны СССР, М7-Л., 1955, 324-338.
9. *Майр Э.* Зоологический вид и эволюция, "Мир", М., 1968.
10. *Новожинов Ю.И.* Журн. общей биологии, **41**, 5, 1980, 668-675.
11. *Сагдиева П.Д.* Сообщения АН ГССР, **136**, 1, 1989, 153-156.
12. *Сагдиева П.Д.* Изв. АН Грузии, сер. биол., 21,1-6,1995.
13. *Сагдиева П.Д., Ткаченко Л.М.* Тез. докл. V Всес. акарологического совещания, Фрунзе, 1985, 256-258.
14. *Сагдиева П.Д., Ткаченко Л.М.* Сообщения АН ГССР, **131**, 2, 1988, 401-404.
15. *Тимофеев-Ресовский Н.В., Тимофеева-Ресовская Е.А., Циммерман И.К.* Тр-ды Института Биологии АН СССР, **44**, 1965, 27-63.
16. *Ту Дж., Гонсалес Р.* Принципы распознавания образов, "Мир", М., 1978.
17. *Филиппова Н.А.* В кн.: Таежный клещ, Л., 1985, 107-125.
18. *Холл Д.Д., Ханна Д.К.* В кн.: Статистические методы для ЭВМ, М., 1986, 348-372.
19. *Яблоков А.В.* Изменчивость млекопитающих, "Наука", М., 1966.
20. *Яблоков А.В.* Журн. общей биологии, **27**, 2, 1966, 177-190.
21. *Ford E.V.* In: The new systematics, Oxford, 1940, 493-514.
22. *Mrciak M.* Annotationes zoologicae et botanicae, **90**, 1974, 1-13.

ბამაწური ტკიპას LAELAPS PAVLOVSKYI (PARASITIFORMES, LAELAPTIDAE) მორფომეტრული ღახასიანთება

პ.საგდიევა, ა.ყანდაურავი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

რ ე ი უ მ ე

მორფომეტრულად იქნა შესწავლილი შუა სიხოტე-ალინიდან აზიური ტყის თავგის პარაზიტი ტკიპას *Laelaps pavlovskyi*-ის ცვალებადობა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მამრი ტკიპების შიდაპოპულაციურ ნაირგვარობას. მამრები იზომებოდა 52, ხოლო მდედრები 42 ნიშნის მიხედვით.

დადგინდა, რომ მამრები, რომლებიც ხასიათდებიან უფრო მაღალი ცვალებადობით, ვიდრე მდედრები, წარმოდგენილია მცირე და დიდი ზომის ფორმებით, აგრეთვე, ამ ფორმებს შორის არსებული რიგი გარდამავალი კონტინუუმი. მიღებული მონაცემები საშუალებას გვაძლევს სტატისტიკურად შევაფასოთ მამრების და მდედრების ცვალებადობის გამოვლინების მსგავსი ტენდენციები, რომლებიც მამრებში უფრო მკაფიოდაა გამოხატული (მაგალითად, ჯაგრების უფრო მეტი ცვალებადობა, ვიდრე ფარებისა), აგრეთვე, თვალი გავადევნოთ

რიგი ნიშნების ცვალეზადობას მცირედან მსხვილ ფორმეზამდე. ცვალეზადობის დონიდან გამომდინარე და კორელაციური ურთიერთობების საფუძველზე მამრებში გამოყოფილია ნიშნების ცვალეზადობის 4 კატეგორია. აღნიშნული სახეობის მამრებში განიხილება პოპულაციური ცვალეზადობის რთული სურათის შესაძლო ინტერპრეტაცია.

MORPHOMETRICS OF GAMASID MITE *LAELAPS PAVLOVSKYI* (*PARASITIFORMES, LAELAPTIDAE*)

P.Sagdieva, A.Kandaurov

Institute of Zoology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

S u m m a r y

A morphometric study of mite *L. pavlovskyi*, a parasite of mouse *Apodemus peninsulae* from Middle Sykhote-Alyn, has been conducted with a special attention to a male diversity within the population. 52 features in males and 42 in females have been measured.

It has been shown that males being considerably more variable than females are presented by small and large forms as well as a continuum from a number of intermediate forms. Data obtained permit to evaluate statistically similar trends in male and female variability expressed more clearly in males (e.g. higher variability of setae as compared with the same of shields) and to trace the changes in a series of features from small to large males. Four categories of male features were based taking into account variability and correlations between the features. The possible interpretations of complex picture in male variability within the population are considered.

№ 574.577.391

ბიოლოგია

ანალიზის ატომურ-აბსორბირული მეთოდის დამუშავება და გამოყენება მაგნიუმის, სპილენძის და თუთიის შემცველობის განსაზღვრისათვის აღამიანის თმაში

ნ.კუჭავა, ლ.მოსულიშვილი, ა.რჩეულიშვილი, ე.გინტური

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტი, თბილისი

შემოსულია რედაქციაში 12.05.94

ნაშრომში შესწავლილია მაგნიუმის, სპილენძის და თუთიის შემცველობა
აღამიანის თმაში. საანალიზო ობიექტის შერჩევა განპირობებულია იმით, რომ
აღამიანის თმის ელემენტური შემადგენლობის ცვლილება ითვლება გარემოს
დატუქუყიანების ინდიკატორად. ამჟამად დროს თმაში ქიმიურ ელემენტთა
კონცენტრაციას განსაზღვრავს აღამიანის ორგანიზმის შინაგანი მდგომარეობა.
ანალიზის ატომურ-აბსორბირული მეთოდით მიღებული შედეგები გვაფიქრებინებს,
რომ შესაძლებელია მისი ფართოდ გამოყენება აღამიანის თმაში ქიმიურ ელემენტთა
შემცველობის შესწავლისათვის.

დამოკიდებულება აღამიანის სხვადასხვა ორგანოსა და ქსოვილში ქიმიურ
ელემენტთა შემცველობასა და ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე პროცესებს შორის
შესწავლილია მრავალ სამეცნიერო შრომაში [3,4,6]. მკვლევარები ფიქრობენ, რომ
ელემენტთა კონცენტრაციების ცვლილებების კანონზომიერებათა დადგენა შეიძლება
გამოყენებული იქნეს ამა თუ იმ დაავადების დიაგნოზისათვის. ამ მხრივ ერთ-ერთ
საინტერესო ობიექტს წარმოადგენს აღამიანის თმა [5].

ვარაუდობენ, რომ აღამიანის თმაში ელემენტთა კონცენტრაცია განისაზღვრება
როგორც ორგანიზმის შინაგანი მდგომარეობით, ასევე სხვადასხვა გარეგან ფაქტორთა
ზემოქმედებით (ორგანიზმში ქიმიურ ელემენტთა შემცველი პრეპარატების შეყვანა,
კოსმეტიკური საშუალებების გამოყენება, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავს ზოგ
ელემენტს). თმაში ქიმიურ ელემენტთა შემცველობა დამოკიდებულია აღამიანის
ასაკზე, სქესზე, ცხოვრების პირობებზე და სხვა [5,7].

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ აღამიანის თმის ელემენტური
შემადგენლობის ცვლილება ითვლება გარემოს დატუქუყიანების ინდიკატორად.

ჩვენ მიერ აღამიანის თმაში მაგნიუმის, სპილენძის და თუთიის შემცველობის
დადგენა განპირობებული იყო ერთი მხრივ იმით, რომ მათი ფიზიოლოგიური როლი
კარგადაა შესწავლილი [6]. მაგალითად, მაგნიუმი მონაწილეობს ზოგი ფერმენტული
სისტემის აქტივაციაში. შესწავლილია ცხოველის და აღამიანის ბევრი დაავადება,
გამოწვეული ორგანიზმში სპილენძის უკმარისობით. ცნობილია, რომ არსებობს
კორელაციური დამოკიდებულება სპილენძის შემცველობასა და ცხოველის ბეწვის ან
აღამიანის თმის ფერს შორის. რაც შეეხება თუთიას, ცხოველებზე ჩატარებულ
ექსპერიმენტებში მისმა უკმარისობამ გამოიწვია ორგანიზმის ზრდის შეჩერება,
სიგამბდრე, აგრეთვე, ცხოველთა ბეწვის გაუფერულება. მთელი რიგი ექსპერიმენტებით
დასტურდება თუთიის განსაკუთრებული როლი სიმსივნეთა განვითარებაში. მეორეს

მხრივ, აღნიშნულ ელემენტთა შემცველობის დადგენა ადამიანის თმაში შეიძლება გამოყენებული იქნეს ამა თუ იმ დაავადების დიაგნოზისათვის [5].

სხვა ბიოლოგიური ნიმუშებისაგან განსხვავებით ადამიანის თმის ანალიზი მეტად მოსახერხებელია, რადგან მისი შეგროვება უმტკივნეულოა, ხოლო რაოდენობა – შეუზღუდავი. იოლია მისი შენახვა და ტრანსპორტირება.

მასალა და მეთოდები

მსოფლიოს ბევრი ქვეყნის სამეცნიერო ლაბორატორია აწარმოებს თმის ელემენტური შემადგენლობის შესწავლას სხვადასხვა მეთოდით [8].

ანალიზისათვის გამოყენებულ მეთოდთა შორის უნდა აღინიშნოს მაღალი მგრძობიარობისა და სიზუსტის ნეიტრონული აქტივაციური ანალიზი და ატომურ-აბსორბციული სპექტრომეტრია.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში ნეიტრონული აქტივაციური ანალიზის საშუალებით შესწავლილია Cr, Au, Se, Sb, Br, Ag, Rb, Fe, Zn, Co-ის შემცველობა მამაკაცების თმაში [1].

წინამდებარე სამუშაოს მიზანს წარმოადგენს ატომურ-აბსორბციული სპექტრომეტრიის გამოყენებით Mg, Cu და Zn-ის შემცველობის შესწავლა ჯანმრთელი ბავშვების თმაში. აღნიშნული ელემენტებისათვის აღმოჩენის ზღვარი შესაბამისად შეადგენს 0,004 მკგ/მლ, 0,01 მკგ/მლ და 0,01 მკგ/მლ [2]. გამოყენებული მეთოდის შემოწმების მიზნით ჩატარებული იქნა ერთ-ერთი საერთაშორისო ბიოლოგიური სტანდარტული ნიმუშის H-4-ის ანალიზი. ის დამზადებულია ცხოველის კუნთებისაგან. H-4 ნიმუშის ატესტაცია ჩატარებულია მსოფლიოს 28 ლაბორატორიაში. გარდა აღნიშნული ნიმუშისა, საანალიზოდ გამოყენებული იქნა ჯანმრთელი ადამიანის სისხლი.

1 ცხრილში თითოეული შემთხვევისათვის წარმოდგენილია 5 ნიმუშის ანალიზის შედეგად მიღებული ელემენტთა კონცენტრაციის საშუალო მნიშვნელობა (\bar{X}) და საშუალო კვადრატული გადახრა (6) მიღებული შედეგები შედარებულ იქნა ლიტერატურულ მონაცემებთან. როგორც 1 ცხრილიდან ჩანს, საერთაშორისო ბიოლოგიური სტანდარტული ნიმუშისათვის მიღებული შედეგები განსხვავდება

ცხრილი 1

მაგნიუმის, სპილენძის და თუთიის შემცველობა საერთაშორისო ბიოლოგიურ სტანდარტულ ნიმუშსა და ადამიანის სისხლში მკგ/გ მშრალ მასაზე

ელემენტის შემცველობა ნიმუშში $\bar{X} \pm 6$						
ნიმუში	მაგნიუმი		სპილენძი		თუთია	
	საკუთარი	ლიტ.	საკუთარი	ლიტ.	საკუთარი	ლიტ.
H-4	85±12	105±6 [10]	5±0,7	3,96±0,33 [10]	80±13	86,3±3,36 [10]
სისხლი	140±11	120 [4]	6±0,6	4 [4]	20±3	30 [4]

ლიტერატურაში [10] არსებული მონაცემებისაგან 20%-ზე ნაკლები სიდიდით. გამონაკლისს შეადგენს სისხლში სპილენძისა და თუთიის შემცველობები. აღნიშნული ცხრილის მონაცემების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ უზრუნველყოფილია თმის ანალიზის საიმედოობა.

გამოსაკვლევად შერჩეული იქნა გურიის ერთ-ერთ დაბაში დაახლოებით თანაბარ პირობებში მცხოვრები ბავშვების ორი ჯგუფი: I ჯგუფი შედგებოდა 6-7 წლის, ხოლო



II ჯგუფი – 9-10 წლის ჯანმრთელი ბიჭებისაგან. ორივე ჯგუფში შეგროვდა თმის ოცნიმუში 60-70 მგ-ის რაოდენობით. თითოეული ნიმუში შედგებოდა სამი ბავშვის თმისაგან. ყველა შემთხვევაში აღებული იქნა ძირიდან 15 მმ-მდე სიგრძის თმა.

თმის ანალიზის ჩატარებისას ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს მისი მომზადება ექსპერიმენტისათვის, კერძოდ, მისი გარეცხვა, რისთვისაც გამოყენებული იქნა აცეტონი და ბიდისტილირებული წყალი. პროცედურა ჩატარდა 3-ჯერ ხუთ-ხუთი წუთის განმავლობაში. ნიმუშები გაშრა ჯერ ფილტრის ქაღალდში, ხოლო შემდეგ პაერზე 2 სთ-ის განმავლობაში.

ანალიზისათვის გამოყენებული იქნა ატომურ-აბსორბციული სპექტრომეტრი „Bekman-495“ ალიანი ატომიზატორით.

კვლევის შედეგები და მათი განხილვა

თმის ნიმუშების ანალიზის შედეგები წარმოდგენილია მე-2 ცხრილში. მოცემულია საშუალო მნიშვნელობა (\bar{X}) და საშუალო კვადრატული გადახრა (6).

ცხრილი 2

მაგნიუმის, სპილენძის და თუთიის შემცველობა ჯანმრთელი ბავშვების თმაში მკვკ მშრალ მასაზე

ნიმუშის ჯგუფი	ელემენტის შემცველობა თმაში $\bar{X} \pm 6$		
	მაგნიუმი	სპილენძი	თუთია
1	64±14	16±3	100±21
2	62±11	18±4	105±18

როგორც მე-2 ცხრილიდან ჩანს ერთ რეგიონში მცხოვრები ორივე ჯგუფის ჯანმრთელი ბიჭების ქიმიურ ელემენტთა შემცველობა ფაქტიურად ერთმანეთისაგან არ განსხვავდება. მიღებული მონაცემები ბიჭების თმაში მაგნიუმის, სპილენძის და თუთიის შემცველობის შესახებ ეთანადება [9] შრომაში მოცემულ მნიშვნელობებს.

ზემოთ აღნიშნული შედეგების განხილვა გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია ანალიზის ატომურ-აბსორბციული მეთოდის ფართოდ გამოყენება ჯანმრთელი და ავადმყოფი ადამიანების თმაში ქიმიურ ელემენტთა შემცველობის დადგენისათვის.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. *Кучава Н.Е., Мосулишвили А.М., Дундуа В.Ю., Пачулия Н.В.* Мат. II Всесоюз. совещания "Ядерно-физические методы анализа в контроле окружающей среды", 1985, 114-117.
2. *Рчеулишвили А.Н., Шавლიაშვილი Н.Ш., Гелагутаშვილი Э.С.* В сб.: Применение активационного анализа в биологии и медицине, "Мецниереба", Тбилиси, 1977, 49-52.
3. *Бабенко Г.А., Решеткина Л.П.* Применение микроэлементов в медицине, "Здоровия", Киев, 1971.
4. *Кист А.А.* Феноменология биохимии и бионеорганической химии, "ФАН", Ташкент, 1987.
5. *Скальский А.В., Дадашев Р.С.* Лаб. дело, 2, 42-44, 1989.
6. *Уильямс Д.* Металлы жизни, "Мир", М., 1975.
7. *Barlow P.J., Kapel M.*, N.Y.: Praeger Publ., 1980, 105-127.

8. *Jyegar I., Kolmer A., Bowen T.* The Elemental Composition of Human Tissues and Body Fluids, N.Y., 1978.
9. *Katz A.* International Laboratory, 9, 3, 181-189, 1979.
10. *Parr R.M.* Intercomparison of minor and trace elements in IAEA animal muscle (H-4) RL/69, Vienna, IAEA, 1980, 13.



ОБРАБОТКА И ИСПОЛЬЗОВАНИЕ АТОМНО-АБСОРБЦИОННОГО МЕТОДА АНАЛИЗА ДЛЯ ОПРЕДЕЛЕНИЯ СОДЕРЖАНИЯ МАГНИЯ, МЕДИ И ЦИНКА В ВОЛОСЕ ЧЕЛОВЕКА

Н.Е.Кучава, А.М.Мосулишвили, А.Н.Рчеулишвили, Э.Н.Гинтури

Институт физики АН Грузии, Тбилиси

Резюме

Изучено содержание магния, меди и цинка в волосе человека. Выбор объекта анализа обусловлен тем, что изменение содержания элементов в волосе человека считается индикатором загрязнения окружающей среды. В то же время концентрация химических элементов в человеческом волосе определяется и внутренним состоянием организма.

Результаты, полученные атомно-абсорбционным методом, показывают, что указанный метод можно широко использовать для определения содержания химических элементов в волосе человека.

TREATMENT AND APPLICATION OF ATOM-ABSORPTION METHOD OF ANALYSIS FOR DETERMINATION OF MAGNESIUM, COPPER AND ZINC CONTENT IN HUMAN HAIR

N.Kuchava, L.Mosulishvili, A.Rcheulishvili, E.Ginturi

Institute of Physics, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

Summary

The content of magnesium, copper, and zinc in human hair has been studied. The choice of the object for analysis was conditioned by the fact that the change of the content of elements in human hair is supposed to be the indication of environment contamination. At the same time the concentration of chemical elements in human hair is determined by the inner state of the organism as well.

The results obtained by atom-absorption method show that this method can be widely used for determination of content of chemical elements in human hair.

შპკ 579.873.2:547.96

მიკრობიოლოგია

**ნოკარდიისმაგვარი ბაქტერიების უჯრედშიდა ხსნადი ცილების
 შედგენილობა და დახასიათება და მათი მნიშვნელობა
 ქვამოსისტიმმატიკისათვის**

ნ.გაგელიძე, ლ.ამირანაშვილი, ე.ხაჭაპურიძე, გ.დარასელია

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს.დურმიშიძის სახელობის მეცნიერება ბიოქიმიის
 ინსტიტუტი, თბილისი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის და ბიოფიზიკის
 ინსტიტუტი, თბილისი

შემოსულია რედაქციაში 25.03.93.

შესწავლილია მიკობაქტერიებისა და როდოკოკების უჯრედშიდა ხსნადი ცილების ფრაქციული შედგენილობა. დადგენილია, რომ თითოეული სახეობისათვის დამახასიათებელია მხოლოდ მისთვის სპეციფიკური ცილოვანი სპექტრი. ცილოვანი ფრაქციების რაოდენობა მიკობაქტერიებისათვის მერყეობს 25-დან 30-მდე, ხოლო როდოკოკებისათვის – 17-დან 22-მდე.

პროტეინოგრაფების დეტალურმა შესწავლამ და მსგავსების კოეფიციენტების დადგენამ შესაძლებლობა მოგვცა ავეგო მიკობაქტერიებისა და როდოკოკების ტაქსონომიური დენდროგრამა. მსგავსების კოეფიციენტი სახეობის შიგნით ვარირებს 0,50-დან 0,70-მდე; სახეობებს შორის – 0,35-დან 0,50-მდე, ხოლო გვარებს შორის – 0,35-ზე ნაკლებია.

კორინე- და ნოკარდიისმაგვარი ბაქტერიები მიეკუთვნებიან ბუნებაში ფართოდ გავრცელებულ მიკროორგანიზმთა ჯგუფს. ისინი წარმოადგენენ ამინომჟავების, ორგანული მჟავების, პოლისაქარიდების, ანტიბიოტიკების, ფერმენტების, კაროტინოიდების, B ჯგუფის ვიტამინების მაღალაქტიურ პროდუცენტებს [1,2,3]. აღნიშნული ბაქტერიების დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, მათი სისტემატიკა დღემდე არ არის სრულყოფილი. უკანასკნელ წლებში ამ მხრივ გარკვეული წარმატებები იქნა მიღწეული მათი ქემოტაქსონომიური და გენეტიკური ნიშან-თვისებების შესწავლის შედეგად. ქემოტაქსონომია მოიცავს უჯრედის კედლის შედგენილობას, ლიპიდებს, ცილებს, ნუკლეინის მჟავებს და სხვა. ლიტერატურაში არსებული მონაცემები [6, 10, 11, 12, 15] ცხადყოფენ, რომ უჯრედშიდა ხსნად ცილებს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ქემოტაქსონომიურ ნიშანს მიკროორგანიზმთა, მათ შორის მიკობაქტერიების კლინიკური და ლაბორატორიული შტამებისათვის [4,5,7,8,9]. საპროფიტული მიკობაქტერიები და როდოკოკები ამ თვალსაზრისით ნაკლებადაა შესწავლილი. ამიტომ, ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა ნოკარდიისმაგვარი ბაქტერიების ზოგიერთი გვარის წარმომადგენლების უჯრედშიდა ხსნადი ცილების, როგორც კიდევ ერთი დამატებითი ქემოტაქსონომიური ნიშან-თვისების შესწავლა ამ მიკროორგანიზმების იდენტიფიკაცია-კლასიფიკაციისათვის.

ჩვენი კვლევის ობიექტებს წარმოადგენდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კოლექციებიდან მიღებული მიკობაქტერიები და როდოკოკები.

მიკობაქტერიები: *M.fortuitum* IHE 232, *M.fortuitum* WHO 17159, *M.parafortuitum* ATCC 19686, *M.parafortuitum* ATCC 19687, *M.parafortuitum* ATCC 19688, *M.phlei* ATCC 19249, *M.phlei* ATCC 11758, *M.smegmatis* ATCC 14468, *M.smegmatis* ATCC 607, *M.chitae* ATCC 19628.


როდოკოკები: *Rh.erythro-*
*poli*s VKM Ac 1150, *Rh.erythro-*
*poli*s VKM Ac 1152, *Rh.erythro-*
*poli*s VKM Ac 1161, *Rhodococcus*
*sp.*VKM Ac 1151, *Rhodococcus*
*sp.*VKM Ac 1165, *Rhodococcus*
sp. VKM Ac 1170, *Rhodococcus*
sp. VKM Ac 1173.

კულტურებს ვზრდიდით შემდეგი შედგენილობის სინთეზურ არეზე (გ/ლ): შარღოვანა - 1,5, Na_2HPO_4 - 4, KH_2PO_4 - 3, MgSO_4 - 1, გლუკოზა - 30, საქაროზა - 10, FeCl_3 - 1 მგ, თიამინი - 0,6 მგ 750 მლ-იან სანჯღრეველა კოლბებში, რომელიც შეიცავდა 50 მლ საკვებ არეს. კულტურებს ვზრდიდით 30°C ტემპერატურაზე 10 დღე-ღამის განმავლობაში სანჯღრეველაზე (230 ბრ/წთ).

უგრედშიდა ხსნადი ცილები ექსტრაქციის ვახდენდით ფადევეს და თანამშ. მიერ შემუშავებული მეთოდით [9] მიღებული აცეტონური პრეპარატებიდან, ხოლო მათ

ელექტროფორეზულ დაყოფას - ლემლის [13] ორფაზიან სისტემაში, ვერტიკალურ ფირფიტებზე სტუდიერის [16] ხელსაწყოს პრინციპით მაჰადიკის და თანამშ. [14] მეთოდის მიხედვით გელის ფორიანობის გრადიენტის შეთავსებით.

ელექტროფორეზული სპექტრების მათემატიკურ დამუშავებას ვაწარმოებდით ევმზე მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტში კ.მასიუკოვის მიერ დამუშავებული პროგრამის საფუძველზე.



სურ.1. მიკობაქტერიებისა და როდოკოკების ცილების ელექტროფორეზული სპექტრები: ა - მაღალმოლეკულური ცილები (200 000 D - 80 000 D); ბ - საშუალო-მოლეკულური ცილები (80 000 D - 40 000 D); გ - დაბალმოლეკულური ცილები (40 000 D - 20 000 D); 1 - *M.chitae*; 2,10 - *M.fortuitum*; 3,8 - *M.smegmatis*; 4,7 - *M.phlei*; 5,6,9 - *M.parafortuitum*; მოწ - მოწმე; 11, 12,13 - *Ph.erythro-*
*poli*s; 14 - *Rhodococcus* sp.

ჩვენ მიერ პოლიაკრილამიდის გელში გრადიენტული ელექტროფორეზით მიღებულ შედეგებს ვაფასებდით ცილოვანი ფრაქციების ფარდობითი ელექტროფორეზული ძვრადობით (RF), შედეგების ინტენსიურობით და მსგავსების კოეფიციენტით.

მსგავსების კოეფიციენტის გამოთვლას ვახდენდით სპექტრების კომპონენტურ შემადგენლობაში განსხვავების და თითოეული ფრაქციის შედეგების ინტენსიურობის გათვალისწინებით. ეს უკანასკნელი დაკავშირებულია ფრაქციაში ცილის რაოდენობასთან. ცილოვანი ფრაქციების შედეგების ხარისხზე ვმსჯელობდით 4-ბალიანი სისტემით.

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ჩვენ მიერ შესწავლილი მიკობაქტერიებისა და როდოკოკების ყველა შტამში ცილოვანი სპექტრებით განსხვავდება ერთმანეთისაგან. თითოეული შტამისათვის დამახასიათებელი იყო მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივი ცილოვანი სპექტრი. მიკობაქტერიების სხვადასხვა შტამში ფრაქციების რაოდენობა ვარირებს 25-დან 30-მდე, ხოლო როდოკოკებში — 17-დან 22-მდე (სურ.1). სახეობის შიგნით ფრაქციათა ვარიაცია შეიძლება აიხსნას სუსტი და ძლიერ სუსტი ფრაქციების გამოვლენის არამდგრადობით.

პროტეინოგრაფები პირობითად დავყავით სამ ზონად: ა — მაღალმოლეკულური ცილები (200 000 D — 80 000 D); ბ — საშუალომოლეკულური ცილები (80 000 D — 40 000 D); გ — დაბალმოლეკულური ცილები (40 000 D — 20 000 D).

M.fortuitum-ის ორი შტამის უჩრდშია ხსნადი ცილების ელექტროფორეზულმა შესწავლამ გვაჩვენა, რომ დამახასიათებელი ინტენსიური ცილოვანი ფრაქციები სამივე ზონაშია განლაგებული: ა ზონაში მათი მოლეკულური წონებია 105 000 და 97 000 დალტონი, ბ ზონაში — 60 000 დალტონი, ხოლო გ ზონაში — 46 000 და 30 000 დალტონი. მსგავსების კოეფიციენტი M.fortuitum IHE 232-სა და M.fortuitum WHO 17159-ს შორის შეადგენს 0,69.

ჩვენ მიერ შესწავლილი M.parafortuitum-ის სამი შტამის ელექტროფორეგრამებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ სამივე შტამისათვის დამახასიათებელი ინტენსიური ცილოვანი ფრაქციების მოლეკულური წონებია ა ზონაში — 110 000 და 97 000 დალტონი, გ ზონაში — 29 000 დალტონი, ხოლო ბ ზონაში მათ გააჩნიათ 7 საშუალო ინტენსიურობის ფრაქცია. ფრაქციათა ეს ნაკრები მიკობაქტერიების არც ერთ სხვა სახეობაში არ გვხვდება. მსგავსების კოეფიციენტი M.parafortuitum ATCC 19687-სა და M.parafortuitum ATCC 19686-ს შორის შეადგენს 0,64, ხოლო M.parafortuitum ATCC 19687-სა და M.parafortuitum ATCC 19688-ს შორის — 0,7.

M.chitae ATCC 19628 ჩვენ მიერ შესწავლილ მიკობაქტერიებს შორის ხასიათდება ცილოვანი ფრაქციების მეტი რაოდენობით (30). ინტენსიური ფრაქციები ძირითადად განლაგებულია ბ და გ ზონებში. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია 45 000, 30 000 და 27 000 დალტონი მოლეკულური წონების მქონე ფრაქციები. ა ზონა წარმოდგენილია ნაკლებ ინტენსიური ფრაქციებით.



M.phlei-ის ორ შტამს, M.phlei ATCC 11758-სა და M.phlei ATCC 19249-ს შორის მსგავსების კოეფიციენტი შეადგენს 0,66. მათთვის დამახასიათებელია 5 ინტენსიური ფრაქცია, რომელთა მოლეკულური წონებია 100 000, 70 000, 62 000, 51 000 და 40 000 დალტონი.

მსგავსების კოეფიციენტი M.smegmatis-ის ორ შტამს, M.smegmatis ATCC 607-სა და M.smegmatis ATCC 14468-ს შორის შედარებით დაბალია — 0,5. განსაკუთრებით აღსანიშნავია 70 000 დალტონი მოლეკულური წონის მქონე და ორი ერთმანეთთან ძალიან ახლოს განლაგებული (40 000 და 38 000 დალტონი) ფრაქცია.

უნდა აღინიშნოს, რომ 70 000 დალტონი მოლ. წონის მქონე ფრაქცია გვხვდება მხოლოდ *M.phlei*-სა და *M.smegmatis*-ის ცილოვან კომპლექსებში.

ჩვენ მიერ დადგენილ იქნა აგრეთვე სახეობათა შორისი მსგავსების კოეფიციენტები. მიღებული შედეგების მიხედვით აგებული იქნა ტაქსონომიური დენდროგრამა (სურ.2) მსგავსების კოეფიციენტი *M.smegmatis*-სა და *M.phlei*-ს შორის შეადგენს 0,49 (მათ შეადგინეს ერთი ჯგუფი), ხოლო *M.fortuitum*-სა და *M.parafortuitum*-ს შორის — 0,57 (ისინი გაერთიანდნენ მეორე ჯგუფში). *M.chitae*-ს მსგავსების კოეფიციენტი პირველ ჯგუფთან შეადგენს 0,4-ს, ხოლო მეორე ჯგუფთან — 0,47. დენდროგრამაში გათვალისწინებულია აგრეთვე მეორე გვარის, *Rhodococcus*-ის წარმომადგენელთა მსგავსება-განსხვავებები ცილოვანი სპექტრების მიხედვით.

მიკროორგანიზმთა საკავშირო კოლექციიდან მიღებული ბაქტერიები, რომლებიც ცნობილი იყვნენ როგორც მიკობაქტერიები, დღეისათვის გადატანილია *Rhodococcus*-ის გვარში. მათი ნაწილი იდენტიფიცირებულია როგორც *Rhodococcus erythropolis*, ხოლო ნაწილის ზუსტი ტაქსონომიური მდგომარეობა არაა დადგენილი და გაერთიანებული არიან *Rhodococcus sp.*-ში.



სურ.2. მიკობაქტერიებისა და როდოკოკების ტაქსონომიური დენდროგრამა



Rh.erythropolis-ის სამი შტამის Rh.erythropolis VKM Ac 1150-ის Rh.erythropolis VKM Ac 1152-ის და Rh.erythropolis VKM Ac 1161-ის უჯრედშიდა სხნადი ცილების შესწავლამ გრადიენტული ელექტროფორეზის მეთოდით პოლიაკრილამიდის გელში გვიჩვენა, რომ ამ შტამების ელექტროფორეზამები მკვეთრად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (სურ.1). დამახასიათებელი ინტენსიური ფრაქციების რიცხვი ამ სახეობის ჩვენ მიერ გამოკვლეული ყველა შტამისათვის ოთხია. მათი მოლეკულური წონებია: 91 200, 70 800, 66 800 და 57 500 დალტონი. ეს მიუთითებს მათ ახლო გენეტიკურ ნათესაობაზე. Rh.erythropolis VKM Ac 1150-ის მსგავსების კოფეციენტი Rh.erythropolis VKM Ac 1161-თან და Rh.erythropolis VKM Ac 1152-თან შეადგენს 0,53-ს, ხოლო Rh.erythropolis VKM Ac 1152-სა და Rh.erythropolis VKM Ac 1161-ს შორის – 0,5.


Rhodococcus sp.-ის ოთხი შტამის ცილოვანი სპექტრების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ცილოვანი ფრაქციების რაოდენობა სხვადასხვა შტამში მერყეობს 17-დან 22-მდე. მსგავსების კოფეციენტის მნიშვნელობა ამ შტამებს შორის საკმაოდ დაბალია. კერძოდ, Rhodococcus sp.VKM Ac 1165-ის მსგავსების კოფეციენტი Rhodococcus sp.VKM Ac 1173-თან შეადგენს 0,48, Rhodococcus sp.VKM Ac1170-თან – 0,41, ხოლო Rhodococcus sp.VKM Ac1151-თან – 0,36. Rhodococcus sp.VKM Ac 1173-ის მსგავსების კოფეციენტი Rhodococcus sp.VKM Ac 1170-თან შეადგენს 0,39, ხოლო Rhodococcus sp.VKM Ac 1151-თან – 0,38. ჩვენი აზრით, მსგავსების კოფეციენტების ასეთი დაბალი მნიშვნელობა Rhodococcus sp.-ის სხვადასხვა შტამებს შორის მიუთითებს, რომ მათი სისტემატიკა არაა დახვეწილი და შემდგომ დამუშავებას მოითხოვს. სავარაუდოა, რომ ოთხივე აღნიშნული შტამი სხვადასხვა სახეობის წარმომადგენელია.

ამრიგად, ცილოვანი სპექტრების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მიკობაქტერიებისა და როდოკოკების შესწავლილი შტამები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ცილოვანი ფრაქციების რაოდენობით (17-30), მათი ინტენსიურობით და ელექტროფორეზული ძვრადობით.

სხვადასხვა შტამების პროტეინოგრამების დამახასიათებელი ფრაქციების სპექტრების და მსგავსების კოფეციენტების შეჯერებამ მოგვცა საშუალება აგვეგო მიკობაქტერიებისა და როდოკოკების ტაქსონომიური დენდროგრამა და დაგვესკვნა, რომ მსგავსების კოფეციენტი ერთი სახეობის შიგნით შეიძლება მერყეობდეს 0,5-დან 0,7-მდე, სახეობებს შორის 0,35-დან 0,5-მდე, ხოლო გვარებს შორის 0,35-ზე ნაკლებია.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. Возняковская Ю.М., Оследкин Ю.С., Кастрома Е.О. Микробиол. анализ., 5-6, 26-29, 1969.
2. Головлев Е.А. Биология сапрофитных микобактерий. Автореф. докт. дисс., Пущино, 1983.
3. Дараселия Г.Я. Сообщения АН ГССР, 74, 3, 681-683, 1974.
4. Дегтева Г.К., Карякина Л.А., Лазовская А.Л. ЖМЭИ, 3, 23-26, 1975.
5. Дыхно М.М., Фадеева Н.И., Сарычева И.М., Першин Г.Н. ЖМЭИ, 1, 108-113, 1975.

- 
6. Ромаскевич А.И., Штепа О.С. Тр.Крым.мед.ин-та, **55**, 1974, 32-34.
 7. Фадеева Н.И. Исследование механизма антимикробного действия противотуберкулезных препаратов и производных хиноксалина, Автореф.докт.дисс., Пушкино, 1987, 34.
 8. Фадеева Н.И., Дыхно М.М., Кочемасова З.Н. Проб.туберкулеза, **3**, 63-67, 1981.
 9. Фадеева Н.И., Кочемасова З.Н., Сарычева И.М. Лаб.дело, **8**, 499-502, 1975.
 10. Begbie R., Stewart C. Can.J.Microbiol., **30**, 6, 863-866, 1984.
 11. Gary Roberts P., Walter Leps T., Lin Silver E., Winston Brill I. Appl. and Environ Microbiol., **39**, 2, 414-422, 1980.
 12. Kersters K., De Ley J. Microbiol. classif. and Identif. Symp. Impact Mod.Meth.Conf. Birmingham., 1978, London e.a., 1980, 273-293.
 13. Laemmli U.K. Nature, **227**, 680-685, 1970.
 14. Machadik S.P., Korenovsky A., Rapport M.M. Anal.Biochem., **76**, 615-633, 1976.
 15. Seiter J.A., Jay K.M. Int.J.Syst.Bact., **30**, 460-465, 1980.
 16. Studier F.W. J.Mol.Biol., **79**, 237-248, 1973.

СОСТАВ И ХАРАКТЕРИСТИКА ВНУТРИКЛЕТОЧНЫХ РАСТВОРИМЫХ БЕЛКОВ НОКАРДИОПОДОБНЫХ БАКТЕРИЙ И ИХ ЗНАЧЕНИЕ ДЛЯ ХЕМОСИСТЕМАТИКИ

Н.А.Гагелидзе, Л.А.Амиранашвили, Э.О.Хачапуридзе, Г.Я.Дараселья

Институт биохимии растений им.С.В.Дурмишидзе АН Грузии, Тбилиси
Институт молекулярной биологии и биофизики АН Грузии, Тбилиси

Резюме

Экспериментальные данные показали, что изученные штаммы микобактерий и родококков по составу и содержанию внутриклеточных белков отличаются друг от друга. Установлено, что для каждого вида характерны только им присущие специфические белковые спектры. Количество белковых фракций для микобактерий колеблется от 25 до 30 компонентов, а для родококков — от 17 до 22.

Детальное изучение протеинограмм и установление коэффициента сходства дали возможность построить таксономическую дендрограмму для микобактерий и родококков, на основании которой установили, что коэффициент сходства внутри вида колеблется от 0,50 до 0,70, между видами — от 0,35 до 0,50, а между родами — ниже 0,35.



THE COMPOSITION AND CHARACTERIZATION OF INTRACELLULAR UNSOLUBLE PROTEINS OF NOKARDIALIKE BACTERIA AND THEIR IMPORTANCE FOR CHEMOSYSTEMATICS

N.Gagelidze, L.Amiranashvili, E.Khachapuridze, G.Daraselia

S.Dumnishidze Institute of Plant Biochemistry, Georgian Academy of Sciences, Tbilisi
Institute of Molecular Biology and Biophysics, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

S u m m a r y

The experimental data have shown that the investigated strains of *Mycobacterium* and *Rhodococcus* differ from each other by composition and content of insoluble intracellular proteins. It was established that especially specific protein spectra are characteristic for each species. The amount of protein fractions varies from 25 to 30 components in *Mycobacterium* and from 17 to 22 in *Rhodococcus*.

Detailed study of proteinograms and establishment of resemblance coefficient have made possible to build the taxonomic dendrogram for *Mycobacterium* and *Rhodococcus*.

On the basis of our research we came to conclusion that resemblance coefficient in species varies from 0,50 to 0,70, among species – from 0,35 to 0,50, and among genus lower then 0,35.

შპს 576.858.9

მიკრობიოლოგია

კოლიბაქტერიის საწარმოო შტამ E.COLI M17-ის გამრავლების პროცესში გამოვლენილი ბაქტერიოფაგების ბიოლოგიური თავისებურებანი

მ.თედიაშვილი, ნ.ჭანიშვილი, თ.ვლიაშვილი, ნ.ზვიადიძე, ქ.ფორჩხიძე, გ.ნატროშვილი,
ნ.ჩოლოყაშვილი, დ.გიორგელიძე რ.ადაშია, თ.ჭანიშვილი

გვლივას სახელობის სსგ „ბაქტერიოფაგი“, თბილისი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს.დურმიშიძის სახელობის
მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი, თბილისი

შემოსულია რედაქციაში 9.03.94

შესწავლილია საქართველოსა და რუსეთის სხვადასხვა ბაქტერიული საწარმოს მიერ დამზადებული კოლიბაქტერიის პრეპარატებიდან და ეტალონურ შტამ E.coli M17-ის ინდუქციის შედეგად გამოყოფილი ბაქტერიოფაგების ბიოლოგიური თვისებები. ძირითადი ტაქსონომიური ნიშნების მიხედვით (ნეგატიური კოლონიისა და ვირიონის მორფოლოგია, ლიზისური სპექტრი, სეროლოგიური მახასიათებლები, პატრონ უჯრედთან ურთიერთდამოკიდებულების ფაზები) ყველა გამოყოფილი ფაგი იდენტური აღმოჩნდა. მიღებული შედეგების საფუძველზე გაირკვა, რომ E.coli M17 ეტალონური შტამი ლიზოგენურია, ხოლო საწარმოო პრეპარატებიდან გამოყოფილი ბაქტერიოფაგები წარმოადგენენ საწყის შტამში არსებული ზომიერი ფაგის ვირულენტურ მუტანტებს.

დადგენილია, რომ საწარმოო ციკლით გათვალისწინებული ტემპერატურული რეჟიმის მკვეთრი ცვლილებები იწვევს სპონტანურად ინდუქციურული ზომიერი ფაგის ინტენსიურ რეპროდუქციას, რაც გავლენას ახდენს საბოლოო პროდუქტის ხარისხზე.

ადამიანის ინფექციურ დაავადებებს შორის ნაწლავურ ინფექციებს ერთ-ერთი წამყვანი როლი უკავია. ბოლო წლებში ანტიბიოტიკებისა და ქიმიური პრეპარატების უსისტემო, ხშირად გაუმართლებელმა და უკონტროლო ხმარებამ გამოიწვია მათ მიმართ გამძლე მიკრობთა ფორმების გავრცელება, რაც თავის მხრივ მაკროორგანიზმების ბუნებრივი ბიოცენოზების დათრგუნვის მიზეზი გახდა. ნაწლავის ნორმალური მიკროფლორის დასუსტების გამო მნიშვნელოვანად გაიზარდა დისბაქტერიოზების შემთხვევები. ცნობილია, რომ ნაწლავთა ბიოცენოზების ისეთ ნორმალურ წარმომადგენელთა, როგორცაა E.coli და Bifidobacterium bifidum, დამცველობითი როლი განპირობებულია მათი ანტაგონისტური აქტიურობით პათოგენურ და პირობით-პათოგენურ მიკროორგანიზმთა მიმართ. ცხადია, რომ ანტიბიოტიკების გავლენით გამოწვეულ ბუნებრივი ანტაგონისტების კლებას ან გაქრობას მნიშვნელოვანი ზიანის მოტანა შეუძლია ადამიანის ორგანიზმისათვის. ნაწლავური ინფექციების, დისბაქტერიოზებისა და მაკროორგანიზმთა ბიოცენოზების აღსადგენად სულ უფრო ფართოდ იხმარება ბაქტერიული პრეპარატები, რომელთა რიცხვსაც მიეკუთვნება კოლიბაქტერინი. ეს სუბლიმაციურად გამშრალი პრეპარატი შექმნილია შტამ E.coli M17-ის საფუძველზე და შეიცავს მის ცოცხალ უჯრედებს [8].



ბოლო წლებში სხვადასხვა ბაქტერიული პრეპარატების საწარმოების, მიერ დაშვებულ კოლიბაქტერიის პრეპარატებში გახშირდა ბაქტერიოფაგების გამოვლენა. ამგვარი მოვლენის ერთეული შემთხვევები აღრეც შეიმჩნეოდა [2], მაგრამ არ ახლდა ისეთი საზიანო შედეგები, როგორც ეს უკანასკნელ ხანებში აღინიშნება მთელ რიგ საწარმოებში.

წინამდებარე შრომის მიზანს შეადგენდა სხვადასხვა წარმოების კოლიბაქტერიის პრეპარატებში ფაგების გამოვლენა, მათი გამოყოფა, პატრონ უჯრედთან ურთიერთობის თავისებურებათა შესწავლა და საწარმოო პროდუქტში ბაქტერიოფაგის მოხვედრის მექანიზმების დადგენა. მიღებული შედეგების საფუძველზე შესაძლებელი იქნება ქმედითი ზომების შემუშავება ფაგის მავნე მოქმედების გასანივრებად.

მასალა და მეთოდები

შესწავლილ იქნა თბილისის, მოსკოვის, პერმის და გორკის ინსტიტუტების ბაქტერიული საწარმოების მიერ დაშვებული კოლიბაქტერიის პრეპარატები.

ბაქტერიული შტამები: საწარმოო ეტალონური შტამი *E.coli* M17, მიღებული მოსკოვის ი.ტარასევიჩის სახელობის საკონტროლო ინსტიტუტიდან; სტანდარტული *E.coli* K12-ის შტამები: KS 707, KS720, C600; აგრეთვე სსკ „ბაქტერიოფაგის“ საწარმოო განყოფილებიდან მიღებული *Sh.sonnei*, *Sh.flexneri*, *Sh.newcastle* და *E.coli* სახეობების ოცდახუთ-ოცდახუთი შტამი.


ბაქტერიოფაგების ნეგატიური კოლონიისა და ნუკლეოკაფსიდის მორფოლოგიის, ლიზისური სპექტრის, პატრონ – უჯრედთან ურთიერთობის ფაზების შესწავლა წარმოებდა სტანდარტული მეთოდებით [1]. ქიმიური და ფიზიკური ინდუქციისა და ლიზოგენობის შესწავლას ვაწარმოებდით მილერის და სხვათა მეთოდებით [11].

კვლევის შედეგები და მათი განხილვა

თავდაპირველად ფაგების გამოყოფა კოლიბაქტერიის საწარმოო პრეპარატებიდან მოვანდინეთ ბაქტერიული ემულსიის ფილტრაციის გზით, რაც მიუთითებდა ბაქტერიების სიღრმული კულტივირების პროცესში ფაგის სპონტანური ინდუქციის და შემდგომი რეპროდუქციის მაღალ ფონზე. რაც შეეხება ეტალონურ შტამ *E.coli* M17-ს, მისი უჯრედებიდან ფაგი სპონტანურად არ გამოიყოფოდა, ამიტომაც მათში ფაგის შემცველობის დასადგენად ჩატარებულ იქნა ინდუქცია ფიზიკური და ქიმიური აგენტებით, კერძოდ, ულტრაიისფერი სხივებითა და C მითომიციინით.

გამოყოფილი ბაქტერიოფაგები პირველ გენერაციაში წარმოქმნიდნენ 1,5-2 მმ დიამეტრის მქონე მღვრიე ნეგატიურ კოლონიებს *Sh.sonnei* 209 ინდიკატორული შტამის გაზონზე და არ მრავლდებოდნენ მათივე ღონის *E.coli* M17-ის უჯრედებზე, რაც აიხსნება ლიზოგენური შტამებისათვის დამახასიათებელი იმუნიტეტით ჰომოლოგიური ფაგისადმი [3,4,6]. შტამ *Sh.sonnei* 209-ზე პასირების შემდეგ ეს ფაგები უკვე ვირულენტური ფაგებისთვის დამახასიათებელ ნათელ ლიზისურ ზონებს წარმოქმნიდნენ როგორც *Sh.sonnei* 209, ასევე *E.coli* M17 შტამზედაც. ფაგის შემდგომი კოლონიების პროცესში ადგილი ჰქონდა როგორც ნეგატიური კოლონიის საბოლოო ფორმირებას, ასევე ლიზისური სპექტრის მკვეთრ შევიწროვებას – ფაგი გამოხატულ სპეციფიკურობას იძენდა და მრავლდებოდა მხოლოდ *E.coli* M17-ის უჯრედებზე. ანალოგიური მოვლენა აღინიშნული იყო ბრუცელაზური ფაგის სპონტანური ინდუქციის დროსაც [7]. ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ აღწერილ

კვლევის შემდგომ ეტაპებზე ტარდებოდა სხვადასხვა წყაროდან გამოყოფილი ფაგების, კერძოდ, ეტალონურ შტამ *E.coli* M17-დან (ფაგი CB), პერმის, მოსკოვის და თბილისის საწარმოების კომერციული პრეპარატებიდან (შესაბამისად: CB-P, CB-M, CB-T), თბილისის სსგ „ბაქტერიოფაგის“ კოლიბაქტერიის ექსპერიმენტული საწარმოო სერიებიდან (CB 1, CB 2, CB 3, CB 4, CB 5) გამოყოფილი ფაგების შესწავლა ძირითადი ტაქსონომიური ნიშნების მიხედვით, როგორცაა ვირიონის მორფოლოგია, ლიზისური სპექტრი, სეროლოგიური ნათესაობა, პატრონ-უჯრედთან ურთიერთობის ხასიათის დადგენა და მისი ფაგების ხანგრძლივობის დაზუსტება. შესაძარებლად აგრეთვე გამოყენებულ იქნა ადრე ზ.ალავიძის მიერ [2] გორკის ინსტიტუტის საწარმოო პრეპარატებიდან გამოყოფილი ფაგი M 17F.



სურ. 1. ა - ფაგი - M17-F [2]; ბ- ფაგი CB (მიკროფოტოსურათი მიღებულია ელექტრონული მიკროსკოპის JEM 1200 EX გამოყენებით. x 200 000)

ელექტრონული მიკროსკოპირების საშუალებით (სურ. 1) ჩატარებულ იქნა სხვადასხვა წყაროებიდან გამოყოფილი ფაგების ნუკლეოკაფსიდების შედარებითი შესწავლა, რომელმაც გამოავლინა მათი სრული მორფოლოგიური იდენტურობა. ყველა შესწავლილ ფაგს გააჩნია ჰექსაგონური თავი (500 Å x 500 Å) და გრძელი უკუმშვადი წანაზარდი (1500 Å x 150 Å) (ცხრილი 1). მსგავსი აგებულება და ზომები დამახასიათებელია აგრეთვე რიგი დიზენტერიული ფაგებისათვის, მაგალითად DD IV და DD VII [10]. ა.ს.ტიხონენკოს კლასიფიკაციით ასეთი აგებულება დამახასიათებელია IV მორფოლოგიური ტიპისათვის [9]. სლოპეკისა და კრევის [12] სქემის მიხედვით ყველა ფაგი მიეკუთვნება Styloviridae ოჯახის XI ტიპს.

ფაგების სეროლოგიური ნათესაობის შესწავლის მიზნით CB ფაგით ბოცვრების ჰიპერიმუნისაციის საშუალებით მომზადებულ იქნა მაღალტიტრიანი ანტიფაგური შრატის ($K=65$ წთ⁻¹). ჩატარებულ იქნა ფაგების ნეიტრალიზაცია. როგორც ცხრილი 1-

დან ჩანს, ყველა ფაგის ნეიტრალიზაციის კონსტანტის მაჩვენებლები უახლოვდება ერთმანეთს, ცვლებადობს რა 5ნ წთ⁻¹ – 65 წთ⁻¹ ინტერვალში. ნეიტრალიზაციის პროცენტის მაჩვენებლებიც ასევე მცირე დიაპაზონში მერყეობს – 86%-100%. ყოველივე ეს მიუთითებს გამოყოფილი ბაქტერიოფაგების არა მხოლოდ სეროლოგიურ ნათესაობაზე, არამედ, ფაქტობრივად, მათ სრულ იდენტურობაზე.

ცხრილი 1

სხვადასხვა წყაროდან გამოყოფილი ფაგების შედარებითი დახასიათება

ფაგები	პატრონი შტამი	ვირიონების მორფოლოგია			ნეიტრალიზაციის მაჩვენებლები	
		თავი	წანახარდი	ტიპი [9]	Kწთ ⁻¹	%
CB	E.coli M17	500x500Å	1500x150Å	IV	65	100
CB-M	E.coli M17	500x500Å	1500x150Å	IV	60	92,3
M-17F	E.coli M17	500x500Å	1500x150Å	IV	60	92,3
CB-T	E.coli M17	500x500Å	1500x150Å	IV	63	97
CB-P	E.coli M17	500x500Å	1500x150Å	IV	58	89
CB1	E.coli M17	500x500Å	1500x150Å	IV	65	100
CB2	E.coli M17	500x500Å	1500x150Å	IV	56	86
CB3	E.coli M17	500x500Å	1500x150Å	IV	62	95,4
CB4	E.coli M17	500x500Å	1500x150Å	IV	61	93,8
CB5	E.coli M17	500x500Å	1500x150Å	IV	59	90,8
DDIY	E.coli B	500x500Å	1500x150Å	IV	0	0
DDYII	E.coli C	500x500Å	1500x150Å	IV	0	0

$$K = \frac{\ln 2 \times 10^6 \frac{P_0}{P} \times D}{t}; K - \text{ნეიტრალიზაციის კონსტანტა}; P_0 - \text{ფაგის საწყისი რაოდენობა}; P -$$

ფაგის რაოდენობა შრატის მოქმედების შემდეგ; D – შრატის განზავება; t – კონტაქტის დრო

გამოვლენილი ფაგების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესწავლისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათი გამრავლების ტემპერატურული ოპტიუმის დადგენას. ფაგების განვითარების ტემპერატურული ოპტიუმის განსაზღვრის პროცესში გამოვლინდა მათი ფენოტიპური თავისებურება: 37 °C-ზე გამრავლების დროს მათი ნეგატიური კოლონიის ზომაა 1-1,5 მმ, ხოლო 24-28°C-ზე – 4-5 მმ, რაც მიუთითებს ამ ტემპერატურაზე ფაგის რეპროდუქციის მაღალ ინტენსიურობაზე. აღნიშნული მოსაზრება დადასტურდა ფაგების განვითარების ერთჯერადი ციკლის შესწავლისას (იხ. ცხრილი 2).

როგორც მე-2 ცხრილიდან ჩანს, სხვადასხვა წყაროდან გამოყოფილი ფაგების ნაწილაკების აღსორბცია E.coli M17 შტამის ბაქტერიულ უჯრედებზე 28°C-ზე მაქსიმალურად 10 წთ-ს მოითხოვს, მაშინ როცა იგივე პროცესი 37°C ტემპერატურაზე 20 წთ-ში სრულდება. განსხვავებულია აგრეთვე ლატენტური პერიოდისა და ფაგის მოსავლიანობის მაჩვენებლები. თუ 28°C-ზე ლატენტური პერიოდის ხანგრძლივობა საშუალოდ 24 წთ-ს აღწევს, იგივე მაჩვენებელი 37°C-ზე 47 წთ-ია. ფაგის აღსორბცია გამოსახული პროცენტებში აგრეთვე მეტყველებს პროცესების მნიშვნელოვან სისწრაფეზე 28°C-ზე, რადგან ამ დროს მისი საშუალო მაჩვენებელი 80-ია, ხოლო 37°C-ზე კი – 42. იგივე პროცესის გამოხატულება კონსტანტებით ადასტურებს, რომ შედარებით დაბალ ტემპერატურაზე მაჩვენებელი ერთი ხარისხით უფრო მაღალია,

ვიდრე 37°C ტემპერატურაზე. ფაგის საშუალო მოსავლიანობა ერთი უჯრედიდან 28°C-ზე 121-ია, ხოლო 37°C-ზე – 84.



ცხრილი 2

სხვადასხვა წყაროდან გამოყოფილი CB ფაგების ერთჯერადი გამრავლების ციკლის შესწავლის შედეგები

ფაგები	აღსორბცია E.coli M17 შტამზე						ლატენტური პერიოდი		მოსავალი ერთ უჯ-ზე	
	28°C			37°C			28°C	37°C	28°C	37°C
	t-წთ	%	kწთ ⁻¹	t-წთ	%	kწთ ⁻¹				
CB	10	84	1,7x10 ⁻⁸	20	44	1,25x10 ⁻⁹	24	47	128	95
M-17F	10	82	1,7x10 ⁻⁸	20	42	1,15x10 ⁻⁹	24	45	125	92
CB-M	10	78	1,6x10 ⁻⁸	20	38	1x10 ⁻⁹	26	52	120	88
CB-T	10	75	1,4x10 ⁻⁸	20	46	1,3x10 ⁻⁹	22	48	118	75
CB-P	10	80	1,65x10 ⁻⁸	20	40	1,15x10 ⁻⁹	25	45	115	69

$$K = \frac{2,31g^{P_0}}{Bt} \quad K - \text{აღსორბციის კონსტანტა; } P - \text{ფაგების საწყისი რაოდენობა; } P_0 - \text{არააღსორბირებული ფაგის რაოდენობა; } B - \text{ბაქტერიების რაოდენობა; } t - \text{დრო წთ-ში}$$

ამრიგად, ფაგის გამრავლების ტემპერატურული ოპტიუმშია 24-28°C, მაშინ როცა მისი პატრონი ბაქტერია E.coli M17 ყველაზე უკეთესად მრავლდება 37°C-ზე. ვფიქრობთ, რომ ამ გარემოებას გარკვეული როლის შესრულება შეუძლია წარმოების პროცესში კოლიბაქტერინის პრეპარატის ფაგით კონტამინაციის თვალსაზრისით, ვინაიდან საწარმოო რეგლამენტი ითვალისწინებს ტემპერატურის მკვეთრ შემცირებას, რამაც შესაძლებელია ფაგის მაინდუცირებელი ფაქტორის როლი შეასრულოს.

მიღებული შედეგების შეჯამებით შეიძლება დავასკვნათ, რომ როგორც ადრე, ისე ამჟამად სხვადასხვა საწარმოო პრეპარატიდან გამოყოფილი და აგრეთვე ეტალონური შტამიდან ინდუცირებული ფაგები იდენტურნი არიან ძირითადი ტაქსონომიური ნიშნების მიხედვით და, ფაქტობრივად, წარმოადგენენ ზომიერი ბაქტერიოფაგის ვირულენტურ მუტანტს – CB-ს. ეს გარემოება მიუთითებს საწყისი ეტალონური E.coli M17 შტამის ლიზოგენობაზე. ზომიერი ფაგების ვირულენტური მუტანტების გამოვლენა დამახასიათებელია მონოკლონალური ბაქტერიული წარმოებებისათვის [5]. საკუთრივ მუტანტური CB ფაგი თავისი მონოვალენტობისა და პატრონ უჯრედთან ურთიერთობის სხვადასხვა თავისებურებების გამო მოლეკულურ-ბიოლოგიური კვლევისათვის მეტად საინტერესო ობიექტად გვესახება. CB ფაგისა და მისი პატრონი უჯრედის დნმ-დნმ ჰიბრიდიზაციის ცდები საშუალებას მოგვცემს საბოლოოდ დავადასტუროთ E.coli M17 შტამის ლიზოგენური სტატუსი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აგრეთვე CB პროფაგის ტემპერატურული ინდუქციის მექანიზმების გარკვევა.

1. *Адамс М.* Бактериофаги, ИЛ, 1961, 127-147.
2. *Алавидзе З.И.* Изучение взаимодействия производственного штамма *E.coli* M17 и его фагоустойчивого мутанта с гомологичными бактериофагами, Канд. дисс., Тбилиси, 1978.
3. *Габрилович И.М.* Лизогения, Минск, 1970.
4. *Доув У.* Фаг Лямбда, М., 1975.
5. *Крылов В.Н.* В кн.: Промышленная микробиология, М., 1980, 167-214.
6. Основы бактериофагии (под редакцией И.М.Габриловича), Минск, 1973.
7. *Попхадзе М.З., Абашидзе Т.Г., Каричашвили Л.Н., Топуридзе К.Н.* Мат. Юбилейного симпозиума, посвященного 50-летию ТбилНИИВС, Тбилиси, 1974, 100-101.
8. Применение колибактерина для лечения и профилактики кишечных заболеваний и технология его производства, "Медицина", М., 1967.
9. *Тихоненко А.С.* Ультраструктура вирусов бактерий, М., 1968.
10. *Чанишвили Т.Г.* Дизентерийные бактериофаги, Докт. дисс., М., 1969.
11. *Miller J.H.* A short course in bacterial genetics. A laboratory manual and handbook for *Escherichia coli* and related bacteria, Cold Spring Harbor Laboratory press, 1992.
12. *Slopeck S., krzywy T.* Arch. Immunol. Therap. Experim., 33, 1-217, 1985.

БИОЛОГИЧЕСКИЕ ОСОБЕННОСТИ ФАГОВ, ВЫЯВЛЕННЫХ В ПРОЦЕССЕ РАЗМНОЖЕНИЯ ПРОИЗВОДСТВЕННОГО ШТАММА *E.COLI* M17

М.И.Тедиашвили, Н.А.Чанишвили, Т.Д.Элиашвили, Н.Г.Звиададзе, К.Э.Порчхидзе, Г.Г.Натрошвили, Н.А.Чолокашвили, Д.И.Гиорхелидзе, Р.Ш.Адамия, Т.Г.Чанишвили

НПО "Бактериофаг" им.Г.Элиава, Тбилиси
Институт биохимии растений им.С.Дурмишидзе АН Грузии

Резюме

Изучены биологические свойства бактериофагов, выделенных из препаратов колибактерина, изготовленных различными бактериальными производствами Грузии и России, а также полученных при индукции эталонного штамма *E.coli* M17. По основным таксономическим признакам (морфология негативной колонии и вириона, литический спектр, серологические характеристики, фазы взаимодействия между фагом и клеткой-хозяином) все выделенные фаги оказались идентичными. Полученные данные ясно свидетельствуют, что эталонный штамм *E.coli* M17 является лизогенным, а выделенные из различных препаратов фаги являются вирулентными мутантами умеренного фага.

Было определено, что резкие температурные изменения, предусмотренные производственным регламентом, способствуют интенсивной репродукции спонтанно индуцированного умеренного фага, что оказывает воздействие на качество конечного продукта.

BIOLOGICAL PECULIARITIES OF THE PHAGES DISCOVERED DURING THE PROPAGATION OF THE INDUSTRIAL STRAIN E.COLI M17

M.Tediashvili, N.Chanishvili, T.Eliashvili, N.Zviadadze, K.Porchkhidze, G.Natroskvili, N.Cholokashvili, D.Giorkhelidze, R.Adamia, T.Chanishvili

G.Eliava SIU "Bacteriophage", Tbilisi
S.Durmishidze Institute of Plant Biochemistry, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

S u m m a r y

The study of biological characteristics of bacteriophages isolated from preparations of colibacterin – commercial product of different bacterial enterprises of Georgia and Russia, and the phage induced from the standard E.coli M17 strain has been conducted.

The investigation of basic taxonomic features (morphology of plaques and nucleocapsids, lytic activity, serological relationship, phases of interaction between the phage and the host-cell) revealed complete identity of all the studied phages. Obtained data clearly indicate that standard strain E.coli M17 is lysogenic and the phages isolated from different preparations are virulent mutants of the temperate phage. It has been determined that drastic changes of temperature occurring according to industrial instructions, facilitate intensive reproduction of spontaneously induced temperate phage that influences the quality of the end product.

შპს 547. 963.3

ბიოფიზიკა

მიკროელემენტების შემცველობა ჯამურ ჰისტონებსა და მათ ცალკეულ ფრაქციებში

ნ.ასათიანი, ნ.საპოჟნიკოვა, ნ.ხარაბაძე, ლ.მოსულიშვილი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტი, თბილისი

შემოსულია რედაქციაში 18.10.93

ნეიტრონულ-აქტივაციური ანალიზის მეთოდით განსაზღვრულია სელენის, კობალტის, რუბიდიუმისა და ქრომის რაოდენობა C_3H_8 ხაზის თავების ღვიძლიდან და ასციტური ჰეპატომა 22 A უჯრედებიდან გამოყოფილ ჯამურ ჰისტონებსა და მათ ცალკეულ ფრაქციებში. აღნიშნული მიკროელემენტების რაოდენობრივი განაწილება ჰისტონების ფრაქციებში არაერთგვაროვანია, ყველაზე დაბალია მათი შემცველობა, როგორც ჯანმრთელი ღვიძლიდან, ისე ასციტური უჯრედებიდან გამოყოფილ H2A ფრაქციაში. Se, Cr, Fe, Co და Rb აღნიშნული მეთოდით არ იქნა იდენტიფიცირებული H4 ფრაქციაში.

აღმოჩენილია Co და Rb-ის მატების საერთო ტენდენცია ასციტიდან გამოყოფილ ჯამურ ჰისტონებში და აგრეთვე H2B და H2A ფრაქციებში, ნორმასთან შედარებით. Se და Fe რაოდენობა კი იგივე ნიმუშებში იკლებს. მიკროელემენტების ასეთი სპეციფიკური განაწილება გვაძლევს საშუალებას განვასხვაოთ ნორმალური და ტრანსფორმირებული უჯრედებიდან გამოყოფილი ჰისტონები.

განხილულია მიკროელემენტების სავარაუდო როლი ჰისტონ- Δ ნმ-ს და ჰისტონ-ჰისტონური ტიპის მოლეკულათშორის ურთიერთქმედებაში სიმსივნური ტრანსფორმაციის დროს.

ცოცხალი ორგანიზმების უჯრედული ფუნქციების, ზრდის და დიფერენციაციის მრავალფეროვნება ძირითადად დაკავშირებულია ბირთვულ Δ ნმ-ში კოდირებულ გენეტიკურ ინფორმაციასთან. მართალია, გენეტიკური ინფორმაციის უშუალო მატარებელია Δ ნმ, მაგრამ უჯრედული სისტემების მუშაობას განსაზღვრავს ქრომატინი და სხვა Δ ნმ-ცილოვანი სტრუქტურები. ამიტომ ქრომატინის კომპონენტების, Δ ნმ-სა და ჰისტონების სტრუქტურის გარკვევა ბიოფიზიკისა და მოლეკულური ბიოლოგიის ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს. ძირითადად ქრომატინის ორგანიზაციის საფუძველს ჰისტონ- Δ ნმ-სა და ჰისტონ-ჰისტონური ურთიერთქმედებები განაპირობებენ.

დღეისათვის ითვლება, რომ ქრომატინის სტრუქტურის ორგანიზაციის პირველ საფეხურზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ფუძე ხასიათის ბირთვულ ცილებს-ჰისტონებს [9]. ნაშრომში მოცემულია ნუკლეოსომური გულგულის პირველადი ორგანიზაცია, რომელიც Δ ნმ-ს გასწვრივ რეგულარული განლაგებით ხასიათდება, ჰისტონები - ფუძე ხასიათის ცილები ელექტროსტატიკური ძალებით ურთიერთქმედებენ Δ ნმ-ს მოლეკულაში უარყოფითად დამუხტულ ფოსფატებთან. ჰისტონების ტეტრამერის და ორი დიმერის (H_2A, H_3B) - (H_2H_4)₂ - (H_2B, H_2A) თანმიმდევრული განლაგება სუპერსპირალურ Δ ნმ-ზე, განპირობებულია ჰისტონებს შორის ურთიერთქმედების ძალებით [6]. ჰისტონი H1 ძირითადად ბოლოებით ურთიერთქმედებს ლინკერულ და აგრეთვე ნუკლეოსომების გულგულში მოთავსებულ

დმ-ს სხვა ჰისტონების ურთიერთქმედებისაგან თავისუფალ ადგილებთან. ცნობილია, რომ ნუკლეოსომის სტრუქტურის სტაბილიზაციაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება აგრეთვე H2A და H2B ფრაქციის ურთიერთქმედებას ნუკლეოსომის გულგულთან მიჯრილ ლინკერული დმ-ს ნაწილთან. ამიტომ ნებისმიერი მოდიფიკაცია (ისეთი როგორცაა აცეტილირება, ფოსფორილირება, პდფ- რიბიზილირება, მეთალთა იონების არსებობა, არაჰისტონური ცილების რაოდენობრივი ცვლილებები და ა.შ.) ცვლის რაოდენობრივ თანაფარდობას ჰისტონების მოლეკულაში დადებითად დამუხტულ C და N ტერმინალურ ბოლოებსა და ცენტრალურ გლობულარულ ნაწილებს შორის, ეს კი თავის მხრივ მოქმედებს დმ-ჰისტონ და ჰისტონ-ჰისტონ ურთიერთქმედებებზე, რასაც თან სდევს ქრომატინის ცალკეული უბნების სტრუქტურული ცვლილებები [8]. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეთალთა ჰომეოსტაზის ცვლილებებს სიმსივნური პათოლოგიების დროს [5,2].

ჯერ კიდევ 10 წლის წინათ აკადემიკოს ე.ანდრონიკაშვილის მიერ გამოთქმული იყო მოსაზრება [1], რომ კანცეროგენებს თან ახლავს ორვალენტიანი იონების თვისებრივად სხვადასხვაგვარი განაწილება დმ-ში და ცილებში. როგორც ცნობილია, მიკროელემენტები მონაწილეობენ ყველა სახის მოლეკულათშორის მიმოცვლაში. თუმცა ზოგიერთი მათგანის ბიოლოგიური მნიშვნელობა ჯერ კიდევ არ არის კარგად გარკვეული, მიკროელემენტების დისბალანსი გარკვეულ წილად გვაძლევს საშუალებას ვიმსჯელოთ სიმსივნურ ქსოვილებში მიმდინარე მეტაბოლური პროცესების მიმართულებაზე და აგრეთვე მეტალთა გავლენაზე ამ პროცესებში. ამ მიმართულებით ჩატარებულ სამუშაოებში [5,2] გაშუქებული იყო საკითხები, რომლებიც ეხებოდა ჰისტონების სხვადასხვა ფრაქციებში ზოგიერთი მიკროელემენტების განაწილების თავისებურებებს და მათ გავლენას ჰისტონების მეორეულ სტრუქტურაზე. რაც შეეხება მიკროელემენტების განაწილებას, ნორმალურ და ტრანსფორმირებული უჯრედებიდან გამოყოფილ ჰისტონების ფრაქციებში იგი ნაკლებადაა შესწავლილი.

წარმოდგენილი შრომა ეხება ზოგიერთი მიკროელემენტის (Se, Co, Rb, Cr, Fe) განაწილების კანონზომიერებების შესწავლას ნორმალური და პათოლოგიური უჯრედებიდან გამოყოფილ ჰისტონებსა და მის ცალკეულ ფრაქციებში.

მასალა და მეთოდები

სამუშაოში გამოყენებული იყო C3HA ხაზის თაგვები, სიმსივნური ექსპერიმენტული მოდელისათვის კი ჰეპათომა 22 A.

ასციტური ჰეპათომა 22 A-ს შემთხვევაში მასალის გადარჩევა ჰისტონებისათვის ხდებოდა მეცხრე დღეს.

ჯამური ჰისტონები და ცალკეული ფრაქციები გამოყოფილი იყო [10] მეთოდის მიხედვით. გამოყოფისას გამოიყენებული იყო ისეთი აგენტები, როგორცაა EDTA, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ჰისტონების პრეპარატებში კათიონური შედგენილობა.

პრეპარატის სისუფთავე შეფასებული იყო შარდოვანას თანხლებისას 15% პოლიაკრილამიდურ გელზე ელექტროფორეზის მეთოდით [11].

მიკროელემენტების (სელენი, კობალტი, რუბიდიუმი, ქრომი და რკინა) რაოდენობა განსაზღვრული იყო ნეიტრონულ-აქტივაციური ანალიზის მეთოდით. ნეიტრონების ნაკადით ნიმუშების დასხივება ხდებოდა ფიზიკის ინსტიტუტის ბირთვული რეაქტორის დაბალტემპერატურულ არხში, სადაც ბიოლოგიური ნიმუშებისათვის დასხივების პროცესში აუცილებელი დაბალი ტემპერატურები მიღწეული იყო თხევადი აზოტის ტემპერატურამდე მიყვანილი აიროვანი ჰელიუმის ცირკულაციით. ნიმუშები სხივდებოდა ~100 სთ-ის განმავლობაში. დასხივებიდან 10 დღის შემდეგ ხდებოდა მათი

შემდგომი γ -სპექტრომეტრული ანალიზი. ნიმუშების გაზომვას ვაწარმოებდით მაღალი გარჩევითობის ნახევარგამტარულ Ge(Li) დეტექტორზე.

საანალიზოდ გამოყენებული იყო შემდეგი რადიონუკლიდები: 75 Se – ენერგიით 264 კეე; 60 Co – ენერგიით 1173 კეე; 51 Cr – ენერგიით 320 კეე; 59Fe – ენერგიით 1099კეე და 87Rb – ენერგიით 1075კეე.

კვლევის შედეგები და მათი ბანძილა

1 ცხრილში მოცემულია Se, Cr, Fe, Rb, Co-ის რაოდენობრივი შემცველობა C3HA ხაზის თავგების ღვიძლიდან და ჰეპათომა 22A-დან გამოყოფილ ჯამურ ჰისტონებში.

Se, Cr, Fe, Rb, Co შემცველობა C3HA ხაზის თავგების ღვიძლიდან და 22 A ასციტური უჯრედებიდან გამოყოფილ ჯამურ ჰისტონებში (მკ/გ მშრალ წონაზე) ცხრილი 1

ჯამური ჰისტონები	*	Se	Cr	Fe	Rb	Co
ნორმა	\bar{X}	2,84	7,6	217	1,81	0,038
	ΔX	0,15	1,6	36	0,61	0,014
ასციტი	\bar{X}	1,37	7,4	120	2,64	0,072
	ΔX	0,36	3,7	19	0,36	0,003
სტიუდენტის კოეფიციენტი		3,8	0,05	2,6	1,1	2,0
სანდრობის ალბათობა		99%	-	95%	-	-

* \bar{X} - საშუალო მნიშვნელობა; ΔX - შეცდომა საშუალო მნიშვნელობის განსაზღვრაში

ცხრილში მოცემული შედეგებიდან ჩანს, რომ აღნიშნული ელემენტებიდან მხოლოდ Rb და Co ამჟღავნებს მატების ტენდენციას ასციტური ქსოვილებიდან გამოყოფილ პრეპარატში ნორმასთან შედარებით. საწინააღმდეგოდ იქცევა Se და Fe, რომელთა რაოდენობაც იკლებს გამოყოფილ ჯამურ ჰისტონებში, ჯანმრთელი ღვიძლიდან გამოყოფილთან შედარებით. ქრომის რაოდენობის ცვლილება არ შეიმჩნევა. საგულისხმოა, რომ ანტიკანცეროგენული პრეპარატების გამოყენებისას ჩატარებულ ექსპერიმენტებში (კანცეროსარკომა უოკერ-256-ზე ფტორაფურის გამოყენებისას) სწორედ Fe და Se რაოდენობის მატებას ჰქონდა ადგილი ჯამურ ჰისტონებში და ღმ-ში [3], ხოლო Co-ის (მონაცემები არ არის წარმოდგენილი) რაოდენობა კი მცირდებოდა. ეს ჩვენი აზრით მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ მოცემული მიკროელემენტების რაოდენობრივი განაწილება კანონზომიერია, მას შემთხვევითი ხასიათი არ აქვს და რომ ასეთი ტიპის სამკურნალო პრეპარატის გამოყენება იწვევს სწრაფვას მეტალთა რაოდენობის ნორმალიზაციისაკენ.

2 ცხრილში მოცემულია მიკროელემენტების Se, Cr, Fe, Rb, Co განაწილება ჰისტონების ცალკეულ ფრაქციებში.

Se, Cr, Fe, Rb, Co-ის შემცველობა C3HA ხაზის თავგების ღვიძლიდან და 22A ასციტური ჰეპათომის უჯრედებიდან გამოყოფილი ჰისტონების ცალკეულ ფრაქციებში (მკვ/გ მშრალ წონაზე)

ნიმუშის დასახელება		Se	Cr	Fe	Rb	Co
H1	ნორმა	1,21	3,82	157	3,52	0,054
	პათოლოგია	2,45	12,1	209	7,37	0,125
H3	ნორმა	2,89	5,21	234	3,35	0,054
	პათოლოგია	1,36	3,59	149	0,7	0,054
H2A	ნორმა	0,3	0,45	28,5	0,32	0,027
	პათოლოგია	0,28	3,31	14,1	0,77	0,024
H2B	ნორმა	1,43	2,0	292	0,2	0,017
	პათოლოგია	1,07	2,56	192	1,47	0,077

მოცემული ცხრილიდან ჩანს, რომ ამ მეტალთა განაწილება ფრაქციების მიხედვით არაერთგვაროვანია. 22A ასციტიდან გამოყოფილ ფრაქცია HI-ში შეიმჩნევა აღნიშნული ელემენტების მატების ტენდენცია ნორმასთან შედარებით. H 3-ში ხდება კლება ამ მიკროელემენტებისა Co-ის გარდა. H2A და H2B ფრაქციებში მიკროელემენტების განაწილება გარკვეულ წილად მსგავსია: კერძოდ, 22A - ასციტიდან გამოყოფილი H2A ფრაქციისათვის, C3HA ხაზის თავგის ღვიძლიდან გამოყოფილთან შედარებით, შეინიშნება ტენდენცია Cr და Rb-ის მატების და Fe-ის კლებისა. იგივე მოდელებიდან გამოყოფილი H2B ფრაქციისათვის დამახასიათებელია Rb და Co-ის მატება, და Fe-ის რაოდენობრივი კლება. H 4 ფრაქციაში გამოყენებული მეთოდით ზემოაღნიშნული მეტალები აღმოჩენილი არ იყო.

ყველაზე დაბალია აღნიშნული მიკროელემენტების შემცველობა როგორც ჯანმრთელი ღვიძლიდან, ისე ასციტური უჯრედებიდან გამოყოფილ H2A ფრაქციაში.

ჩვენი შედეგები ეთანხმება ბოლო წლებში ჩატარებული ექსპერიმენტული შრომების მონაცემებს [4,7], რომელნიც ადასტურებენ ზოგიერთი მიკროელემენტის გავლენას და მონაწილეობას მოლეკულათშორის კავშირში, კერძოდ, Ca, Mg ურთიერთქმედება განპირობებულია მეტალის იონის და ორმ-ს ფოსფატის ელექტროსტატიკური ეფექტით, მაშინ, როცა Zn და Co აქვს შესაძლებლობა წარმოქმნას მოლეკულათშორისი შიდასფერული მიკროხელატები არა მარტო ფოსფატთან, არამედ ადენინის ნარჩენებთანაც, რაც გამოწვეულია ამ ელემენტების უნარით კავშირი დაამყარონ აზოტოვან ფუძეებთან. საგულისხმოა, რომ მიკროელემენტების ასეთ გავლენას მოლეკულათშორის კავშირებზე ადგილი აქვს დროის შეზღუდულ მონაკვეთში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩვენ ცდებში შემჩნეული მეტალთა რაოდენობრივი ცვლილება ამ მონაცემების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, რადგან შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს სწორედ ჰისტონ -ოცმ-ს კავშირების თვისობრივ ცვლილებას მიკროელემენტების გავლენით. უფრო ზუსტად კი, Rb და Co ტენდენცია მატებისაკენ სწორედ H2A და H2B ფრაქციებში და შესაბამისად Fe-ის რაოდენობის კლება იგივე ფრაქციებში, შესაძლებელია განაპირობებდეს ახალი ტიპის კავშირების წარმოქმნას ჰისტონების მოცემულ ფრაქციებსა და ლინკერულ ოცმ-ს შორის აეთვისებიანი ტრანსფორმაციების დროს.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. Андроникашвили Э.А. Современное состояние вопроса о мутагенезе и канцерогенезе, Препринт, Институт физики АН ГССР, Тбилиси, 1984.
2. Андроникашвили Э.А. Биофизика, **32**, 782-799, 1987.
3. Андроникашвили Э.А., Мосулишвили Д.М., Белокобыльский А.И., Багдавадзе Н.В., Харабадзе Н.Е., Шония Н.И., Гинтури Э.Н., Лордкипанидзе А.Т., Лидак М.Ю., Зидеормане А.А., Дауварте А.Ж. В сб.: Экспериментальная и клиническая фармакотерапия, "Зинатне", Рига, 1989, 126-134.
4. Мартин Р.Б., Марнам Я.Х. В сб.: Ионы металлов в биологических системах, "Мир", М., 1982, 53-103.
5. Сичинава Н.В., Григалава М.В., Рамм Е.И., Сапожникова Н.А., Есипова Н.Г. Биофизика, **28**, 873-874, 1983.
6. Belyavsky A.V., Bavykin S.G., Gogvadze E.G., Mirzabekov A.D. J.Mol.Biol., **139**, 519-539, 1980.
7. Eichhorn G.L., Shin J.A. J.Amer.Chem.Soc., **90**, 7323-7328, 1968.
8. Georgieva E.J., Pashev J.G., Tsanev R.G. Arch.Biochem. Biophys., **16**, 88-92, 1982.
9. Igo-Kemenes T., Horz W., Zachau G. Ann.Rev.Biochem., **51**, 89-121, 1982.
10. Johns E.W. Biochemistry, **95**, 55-59, 1964.
11. Laemmli U.K. Nature, **227**, 680-685, 1970.

СОДЕРЖАНИЕ МИКРОЭЛЕМЕНТОВ В СУММАРНЫХ ГИСТОНАХ И ИХ ОТДЕЛЬНЫХ ФРАКЦИЯХ

Н.В.Асатиани, Н.А.Сапожникова, Н.Е.Харабадзе, Л.М.Мосулишвили

Институт физики АН Грузии, Тбилиси

Резюме

Методом нейтронно-активационного анализа было определено количественное содержание хрома, кобальта, железа, рубидия и селена в суммарных гистонах и их отдельных фракциях, выделенных из печени мышей линии СЗНА и из клеток асцитной гепатомы 22а. Их распределение во фракциях гистонов неоднородно. Самым низким содержанием микроэлементов характеризуется фракция Н2А, выделенная как из печени, так и из клеток асцитной гепатомы 22А. Во фракции Н4 Se, Cr, Fe, Co, Rb данным методом не были идентифицированы.

Выявлена тенденция количественного увеличения содержания Co и Rb во фракциях Н2А и Н2В, выделенных из опухолевых клеток (по сравнению с таковым в печени). Количество Se и Fe в тех же образцах уменьшается. Такое специфическое распределение исследованных микроэлементов дает возможность различить гистоновые фракции, выделенные из нормальных и опухолевых клеток.

Обсуждается также возможная роль микроэлементов в межмолекулярных взаимодействиях типа гистон-ДНК и гистон - гистон при опухолевой трансформации.



CONTENT OF SOME MICROELEMENTS IN TOTAL HISTONES AND THEIR FRACTIONS

N.Asatiani, N.Sapozhnikova, N.Kharabadze, L.Mosulishvili

Institute of Physics, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

Summary

The method of neutron-activation analysis has been used to determine content of chromium, cobalt, iron, rubidium and selenium in total histones and their fractions, isolated from C3HA mice liver and ascitic hepatoma 22A cells. The distribution of these microelements in histone fractions is heterogeneous. The H2A histones from C3HA mice liver and also from ascitic hepatoma 22A cells are characterized by the least content of the microelements. Se, Co, Rb, Fe, Cr are not identified in the H4 histone from both sources.

It was revealed that Co and Rb content in H2A, H2B histones, isolated from the tumour cells as compared to those fractions, isolated from mice liver, has tendency to increase. The Se and Fe content in these tumour fractions is decreased as compared to normal ones. Such specific distribution of the investigated microelements allows to distinguish the normal histone fractions from tumour ones.

It has been also discussed the possible role of microelements in the histone-DNA and histone-histone intermolecular interactions in tumour transformation.

УДК 547.96

БИОФИЗИКА

ИССЛЕДОВАНИЕ СОБСТВЕННОЙ ФЛУОРЕСЦЕНЦИИ КОМПОНЕНТ ТРОПОНИНА

А.Г.Гвритишвили, Н.И.Бутхузи, Е.В. Бут, М.М.Заалишвили

Институт молекулярной биологии и биофизики АН Грузии, Тбилиси

Поступила в редакцию 25.11.93

Сравнение кривых рН-зависимости интенсивности собственной флуоресценции компонент тропонина при $\lambda_{\text{возб}}=280$ и 296 нм показало, что для тропонина I не только триптофановые, но и тирозиновые остатки вносят вклад в интенсивность собственной флуоресценции белка. В тропонине С триптофаны отсутствуют, поэтому спектры собственной флуоресценции белка обусловлены тирозином. Тропонин Т ведет себя "классическим" образом, т.е. в спектрах собственной флуоресценции тропонина Т преобладает триптофановая компонента. Структура всех компонент тропонина в области флуорофоров лабильна и реагирует на изменение рН среды. Исследование тепловой денатурации компонент позволило установить, что тропонин Т в исследованных условиях является чрезвычайно термостабильным белком.

Кальций-регуляция сокращения поперечно-полосатых мышц позвоночных осуществляется тропонин-тропомиозиновым комплексом. В свою очередь, молекула тропонина также представляет собой комплекс трех субъединиц, представленных в соотношении 1:1:1. Это Ca^{2+} -связывающий компонент – тропонин С; компонент, способный ингибировать АТФазу актомиозина – тропонин I, компонент, взаимодействующий с тропомиозином – тропонин Т. Тропонин С скелетных мышц кролика имеет молекулярную массу около 18 кДа и обладает четырьмя Ca^{2+} -связывающими участками. Два из них обладают высоким сродством к Ca^{2+} ($K=2 \cdot 10^7 \text{ M}^{-1}$) и способны, помимо Ca^{2+} , связывать Mg^{2+} ($K=5 \cdot 10^3 \text{ M}^{-1}$). Два других участка являются Ca^{2+} -специфическими и связывают Ca^{2+} с константой $K=5 \cdot 10^5 \text{ M}^{-1}$. Тропонин I скелетных мышц кролика имеет молекулярную массу 20864 Да а самая крупная субъединица тропонина – тропонин Т – 30503 Да.

Преобладающее число работ по тропониновому комплексу посвящено его взаимодействию с тропомиозином, исследованию взаимодействия компонент тропонина между собой, а также влиянию ионов кальция на эти взаимодействия. Несколько меньшее внимание уделялось отдельным компонентам тропонина, таким их физико-химическим свойствам, как стабильность молекул в различных условиях.

Для изучения структурной стабильности компонент тропонина мы использовали метод собственной флуоресценции белка. Параметры

флуоресцентной спектроскопии являются чувствительными функциями всех процессов, протекающих за время жизни возбужденного состояния, причем в этих процессах могут участвовать молекулы, находящиеся в момент возбуждения на расстояниях до 10 нм от флуорофора [4]. Размеры молекул тропонинового комплекса на электронных микрофотографиях составляют 10-15 нм, тогда как размеры субъединиц меньше. Поэтому этим методом можно наблюдать изменение структуры молекул компонент тропонина в ответ на изменения в окружающей среде (рН, температура).

МАТЕРИАЛ И МЕТОДЫ

Тропониновый комплекс получали из скелетных мышц кролика по методу Стапранс и сотр. [19]. Компоненты тропонинового комплекса выделяли хроматографией на ДЕАЕ-целлюлозе [16]. Для очистки тропонина Т и тропонина I применяли хроматографию на ДЕАЕ-сефадексе А-50 [17]. Концентрацию белков определяли биуретовым реактивом для микроопределения [1], а также спектрофотометрически по поглощению, учитывая коэффициент экстинкции $E_{276}^{1\%}$ для тропонина С — 2,3; тропонина I — 5,2 и тропонина Т — 4,4 [3]. Чистоту препаратов контролировали электрофорезом в полиакриламидном геле в присутствии додецилсульфата натрия по методу Лемли [12]. Пробы для исследования флуоресценции готовили, растворяя необходимое количество лиофилизированного белка в 6М мочеvine, 50мМ Трис НСl рН 8,0, чтобы исключить агрегацию, присущую белкам [9]. Затем ставили на диализ

против соответствующего буфера, хотя эта мера предосторожности была, вероятно, излишней, учитывая молярность КСl, используемую в экспериментах. Спектры флуоресценции измеряли на спектрофлуориметре RF-5000 "Shimadzu", при концентрации белка 0,2-0,3 мг/мл. Скорость нагрева кюветы составляла ~ 8-9 К/мин. О величине квантового выхода флуоресценции судили по интенсивности собственной флуоресценции белков, измеренной в максимуме ее спектра [7].




Рис. 1. рН-зависимость интенсивности собственной флуоресценции тропонина I: 20 мМ Трис-ацетатный буфер, 1 М КСl; • — $\lambda_{возб}=280$ нм; о — $\lambda_{возб}=296$ нм

Мы исследовали влияние рН и температуры на спектры собственной флуоресценции компонент тропонина. Каждая из субъединиц тропонина обладает флуоресцирующими аминокислотами: тропонин I — TYR-44, TYR-80, TRP-159 [21]; тропонин С — TYR-11, TYR-109 [8]; тропонин Т — тирозин в положениях 156, 159, 210, 227 и триптофан — 206 и 259 [15]. Несмотря на небольшое количество флуоресцирующих аминокислот в компонентах тропонина, концентрация 0,2-0,3 мг/мл достаточна для получения спектров флуоресценции с оптимальным квантовым выходом.




Рис.2. рН-зависимость интенсивности собственной флуоресценции тропонина I: 20 мМ Три-ацетатный буфер, 1 М КСI; • — $\lambda_{\text{возб}}=280\text{нм}$; о — $\lambda_{\text{возб}}=296\text{нм}$

собственной флуоресценции при $\lambda_{\text{возб}}=280\text{ нм}$, где возбуждается как тирозин, так и триптофан, и $\lambda_{\text{возб}}=296\text{ нм}$, где возбуждается практически только триптофан, показывает, что в случае тропонина I тирозиновые остатки вносят существенный вклад в интенсивность собственной флуоресценции белка. Спектры флуоресценции при $\lambda_{\text{возб}}=280\text{ нм}$ изменяются на 1,6 нм в длинноволновую сторону (при нейтральных значениях рН величина $\lambda=334,8\text{ нм}$). Несмотря на "нестандартное" положение максимума спектра флуоресценции, небольшое его смещение также свидетельствует о существенном вкладе остатков тирозина в спектры флуоресценции тропонина I.

На рис. 1 приведена рН-зависимость интенсивности собственной флуоресценции тропонина I. При $\lambda_{\text{возб}}=280\text{ нм}$ кривая имеет максимум в области рН 7-8. Иной вид кривой этой зависимости при $\lambda_{\text{возб}}=296\text{ нм}$: здесь наблюдается плавное уменьшение квантового выхода при уменьшении рН в области от рН 8,5 до рН 2,5. Отсутствие плато на кривых рН-зависимости свидетельствует об изменении структуры молекулы тропонина I во всей области исследованных рН.

Считается, что для триптофанил содержащих белков флуоресценция тирозина обычно слабо выражена, она либо отсутствует, либо минимальна [7]. Однако сравнение кривых рН-зависимости интенсивности

Спектр флуоресценции тропонина I при $\lambda_{\text{возб}}=296$ нм изменяется плавно на 6 нм: $\lambda=346$ нм (pH 8,0) до $\lambda=352$ нм (pH 2,0). Такое длинноволновое смещение положения спектра связывают со смещением остатков триптофана из внутреннего расположения в более поверхностное.

Спектры pH-зависимости интенсивности собственной флуоресценции тропонина T (рис. 2) имеют максимум в области pH 3,5-4,5 как при $\lambda_{\text{возб}}=280$ нм, так и при $\lambda_{\text{возб}}=296$ нм. Резкое изменение квантового выхода происходит в области pH 3-6. В области pH 6,5-8,5 можно говорить об относительной стабильности структуры белка.

Несмотря на одинаковое с тропонином I соотношение остатков тирозина и триптофана pH-зависимость интенсивности собственной флуоресценции тропонина T идентична при $\lambda_{\text{возб}}=280$ нм и $\lambda_{\text{возб}}=296$ нм, что свидетельствует о преобладании триптофановых компонент в спектрах собственной флуоресценции тропонина T.

Интенсивность собственной флуоресценции тропонина C резко падает при закислении среды.

Исходя из вышесказанного структура всех компонент тропонина в области флуорофоров довольно лабильна и реагирует на изменение pH среды. Мы полагаем, что структура тропонина C отличается наибольшей лабильностью.




Рис.3. Зависимость интенсивности собственной флуоресценции от температуры; 25 мМ Трис-НСI, pH=7,75, 1 М КСI; ●—тропонин T, ○—тропонин C

Нами исследована и тепловая денатурация компонент тропонина. На рис.3 приведена температурная зависимость квантового выхода флуоресценции тропонина T (верхняя кривая) и тропонина C (нижняя кривая). Особенностью температурной кривой тропонина T является наличие резкого перегиба в области 16-18°C, второго в области 38-40°C и третьего в области 64-68°C. Кривая температурной зависимости тропонина C имеет перегиб в области 49-51°C. Вторая область перегиба

тропонина Т и область тропонина С поразительно совпадают с данными калориметрических исследований аналогичных компонент тропонина из сердца быка [11].




Рис. 4. Зависимость обратного выхода флуоресценции $1/I$ от T/η ; 20 мМ Трис-ацетатный буфер, $\text{pH}=8,5$, 0,2 М КСI

Для четкого выявления температурного перехода процесса тепловой денатурации тропонина I мы использовали зависимость обратного выхода флуоресценции $1/I$ от T/η (рис. 4). Исследования показали, что даже для внутренних недоступных растворителю хромофоров значение константы скорости тушащего взаимодействия изменяется пропорционально отношению T/η , где T абсолютная температура, η — вязкость растворителя [2]. На рис. 4 перегибы, соединяющие прямые линии, отвечают тепловым структурным переходам в белке. Таких у тропонина I в исследованных условиях (20 мМ Трис-ацетатный буфер, $\text{pH} 8,5$; 0,2 М КСI) два: один в области $24-29^\circ\text{C}$, второй в области $50-54^\circ\text{C}$. При этом спектр флуоресценции сдвигается ~ 3 нм в сторону длинных волн, свидетельствуя о переходе остатков триптофана на поверхность белка.

Интересно, что кривая зависимости интенсивности собственной флуоресценции от температуры абсолютно идентична кривой повторного прогрева препарата тропонина Т. Учитывая это, а также низкую скорость прогрева в наших экспериментах, можно заключить, что тропонин Т в исследованных условиях (25 мМ Трис-НСI $\text{pH} 7,75$, 1 М КСI) является чрезвычайно термостабильным белком. Процесс ренатурации остальных двух компонент тропонина является объектом дальнейшего исследования. Спектр флуоресценции тропонина Т сдвигается всего на 1 нм в длинноволновую сторону. По данным Джина и Лина [12] тропонин Т сердца также является термостабильным белком.

1. *Бейли К.* Методы химии белков, М., "Мир", 1965.
2. *Бурштейн Э.А.* Молекулярная биология, **17**, 3, 455-467, 1983.
3. *Гусев Н.Б.* Биохимия **54**, 4, 753-760, 1991.
4. *Лакович Дж.* Основы флуоресцентной спектроскопии, М., "Мир", 1986.
5. *Черницкий Е.А.* Люминесценция и структурная лабильность белков в растворе и клетке, Минск, "Наука и техника", 1972.
6. *Collins J.H., Potter J.D., Horn M.J., Weltshire G., Jackmann N.* FEBS Letters, **36**, 268-272, 1973.
7. *Greaser M.L., Gergely J.J.* Biol. Chem., **248**, 2125-2133, 1973.
8. *Jacobsch A.L., Devin G., Braun H.* Biochemistry, **20**, 1694-1701, 1981.
9. *Jin Jian-Ping, Lin Jung-Ching.* J. Biol. Chem., **263**, 15, 7309-7315, 1988.
10. *Laemml U.K.* Nature, **227**, 680-685, 1970.
11. *Ohtsuki I., Shiraishi F.* Proc. Japan Acad., **58**, 9, 288-290, 1982.
12. *Peariston J.R., Carpenter M.R., Jonson P., Smillie L.B.* Proc. Natl. Acad. Sci. USA, **73**, 1902-1906, 1976.
13. *Perry S.V., Cole H.A.* Biochem. J., **141**, 733, 1974.
14. *Potter J.D.* Methods in Enzymology, **85**, 241-263, 1982.
15. *Staprans I., Takahashi H., Russel M.P., Watanabe S.J.* Biochem., **72**, 723, 1972.
16. *Syska H., Wielkinson J.M., Grand R.J.A., Perry S.V.* Biochem. J., **149**, 493-496, 1975.

**ტროპონინის კომპონენტების საკუთარი ფლუორესცენციის
გამოკვლევა**

ა.გვრიტიშვილი, ნ.ბუთხუზი, ე.ბუტი, მ.ზაალიშვილი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტი, თბილისი

რ ე ზ ი უ მ ე

საკუთარი ფლუორესცენციის ინტენსიურობის pH-ზე დამოკიდებულების სპექტრების შედარებამ გვიჩვენა, რომ ტროპონინი I-ის საკუთარი ფლუორესცენციის სპექტრების ინტენსიურობაში წვლილი შეაქვთ არა მარტო ტრიპტოფანის, არამედ თიროზინის ნაშთებსაც. ტროპონინ C-ს სპექტრების ინტენსიურობაში წვლილი შეაქვთ მხოლოდ თიროზინის ნაშთებს, რადგანაც მასში არ შედის ტრიპტოფანის ნაშთები, ხოლო ტროპონინი T იქცევა „კლასიკურად“, ე.ი. მის სპექტრებში ჭარბობს ტრიპტოფანის ნაშთები. ყველა კომპონენტის სტრუქტურა ლაბილურია ფლუოროფორების უბანში და რეაგირებს გარემოს pH-ის ცვლილებაზე. ტროპონინის კომპონენტების სითბური დენატურაციის შესწავლამ აჩვენა, რომ ტროპონინი T, ჩვენს მიერ განხილულ პირობებში, წარმოადგენს ძლიერ თერმოსტაბილურ ცილას.

AN INTRINSIC FLUORESCENCE STUDY OF COMPONENTS OF TROPONIN



A.Gvritishvili, N.Butkhuzi, E.Boot, M.Zaalishvili

Institute of Molecular Biology and Biological Physics, Georgian Academy of Sciences Tbilisi

Summary

The pH-dependence of intensity of troponin components from rabbit skeletal muscle have been studied using an intrinsic fluorescence method. It has been shown that both tryptophane and tyrosine amino acid residues take a part in intrinsic fluorescence of troponin I. There are no tryptophane residues in troponin C, therefore the spectrum of intrinsic fluorescence of protein is conditioned by tyrosine residues. In troponin T tryptophane residues predominate in its intrinsic fluorescence, therefore it is represented as "classical" protein. The structures of all components of troponin in the range of fluorophores is rather labile and react on the alteration of environment pH. From the study of thermal denaturation of troponin components it was shown that troponin T is extremely thermostable protein in investigated conditions.

შპა 577.3

ბიოფიზიკა


სოიოს ლეგჰემოგლობინ-ნიკოტინატის უიდამოლვაშული მოძრაობა, გამოკვლეული წყალბად-დეიტერიუმის ($^1\text{H}-^2\text{H}$) ჩანაცვლების მეთოდით

ქ.ჯინორია, ე.დიმიტროვა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი, თბილისი
 ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ორგანული ქიმიის ინსტიტუტი, სოფია

შემოსული რედაქციაში 13.0.5.93

ინფრაწითელი სპექტროსკოპიის და წყალბად-დეიტერიუმის ($^1\text{H}-^2\text{H}$) ჩანაცვლების მეთოდის გამოყენებით ნაჩვენებია, რომ სოიოს ლეგჰემოგლობინ-ნიკოტინატს, მსგავსად ადამიანის ჰემოგლობინის და კაშალოტის მيوგლობინის მაკრომოლეკულებისა, pH 7-8 არეში აქვს ორი კონფორმერი. ამავე დროს, ლეგჰემოგლობინის სტაბილობა თითქმის არ განსხვავდება ადამიანის ჰემოგლობინის ნატიფური სუბერთეულების და კაშალოტის მيوგლობინის სტაბილობისგან და საგრძნობლად მცირეა ჰემოგლობინის მაღალ სპინურლიგანდურ ფორმებთან შედარებით, რაც გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ არსებობს ფუნქციური კორელაცია ადამიანის ჰემოგლობინის, ძუძუმწოვართა მيوგლობინის და მცენარის ლეგჰემოგლობინის მაკრომოლეკულებს შორის.



სურ.1. სოიოს ლეგჰემოგლობინ-ნიკოტინატის წყალბად-დეიტერიუმის ($^1\text{H}-^2\text{H}$) ჩანაცვლების მრუდები ამიდ II/ამიდ I = f(t) კოორდინატებში pH 7,0(1) და pH 8,0(2), 0,05 M ტრის ბუფერში და 20°C ტემპერატურის დროს

მაკრომოლეკულების შესწავლისას ძნელია ლაპარაკი ცილების ფუნქციონირების მექანიზმზე, თუ არ გვეცოდინება მათი დინამიკური სტრუქტურა და ენერგეტიკულად მნიშვნელოვანი უსასრულოდ მცირე კონფორმაციული გარდაქმნები, რომლებსაც აქვთ ადგილი მაკრომოლეკულის ფუნქციონირების დროს. დღემდე ექსპერიმენტული შესაძლებლობები ენერგეტიკული კონფორმაციული გადასვლების რაოდენობრივი


შეფასების მხრივ საკმაოდ შეზღუდულია და ცილის სტაბილობის დადგენა მეორეული სტრუქტურის ცვლილების მიხედვით ლიგანდების შეცვლისას საკმარისი არცნობილია, რომ კონფორმაციულ გარდაქმნებს ადგილი აქვს მესამეული და მეორეული სტრუქტურების დონეზე [13, 20, 22] და ასეთი სტრუქტურული გარდაქმნები მიზეზია იმისა, რომ ხდება გარკვეული ცვლილებები მეოთხეულ სტრუქტურაში.

წყალბად-დეიტერიუმის ჩანაცვლების მეთოდი მიეკუთვნება იმ მცირერიცხოვან მეთოდებს, რომელთა საშუალებით შეგვიძლია შევაფასოთ ცილის კონფორმაციული სტაბილობა და შევისწავლოთ მისი მესამეული სტრუქტურა ფიზიოლოგიურ და მასთან მიახლოებულ პირობებში.

ამჟამად ცილების დინამიკის შესწავლაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს კონფორმაციულად აგზნებული მდგომარეობის (კონფორმერების) ფიზიკური ბუნების დადგენა და, რაც მთავარია, მისი როლის შეფასება ცილის ფუნქციონირების დროს.

ბასალა და მეთოდები

სოიოს ლეგჰემოგლობინ-ნიკოტინატი მიღებულია ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ბიოფიზიკის ლაბორატორიაში კულრიაცევას და სხვ. [7] მეთოდით.



სურ.2. სოიოს ლეგჰემოგლობინ-ნიკოტინატის წყალბად-დეიტერიუმის ($^1\text{H}-^2\text{H}$) ჩანაცვლების მრუდები $X=f(\lg k_a, t)$ კოორდინატებში, სადაც (...) — pH 7,0 და (+++) — pH 8,0 (იხ. სურ.1); ა) ადამიანის ჰემოგლობინის (---) α და (-) — β -სუბერთეულების კინეტიკური მრუდები იგივე პირობებში; ბ) ადამიანის ჰემოგლობინის მაღალ სპინური ლიგანდური (---) metHb და (-) — CNmetHb-ის ფორმების კინეტიკური მრუდები, მიღებული (1) — pH 7,0 და (2) — pH 8,0 0,05M ტრის ბუფერში და 20°C ტემპერატურის დროს. მარცხნივ S — მაგვარი მრუდი, მიღებულია პოლი — D,L — ალანინის პეპტიდური ჯგუფების სრული შელწყვალდობის პირობებში ჰეიდტის ემპირიული ფორმულით [8, 17]

ჰემოგლობინი მიღებულია ადამიანის სისხლიდან ანტონინი და ბრუნორის მეთოდით [9], ჰემოგლობინის სუბერთეულები კი ბუჩი და ჯერასის მოდიფიცირებული მეთოდების გამოყენებით [12, 16]. გამოყოფილი სუბერთეულების სისუფთავეს ვამოწმებდით ბოიერის მეთოდით [10]. მიღებული პრეპარატების ჰომოგენობა და სისუფთავე მოწმდებოდა ელექტროფორეზით სახამებლის და პოლიაკრილამიდის გელებზე pH 8,6.



ცილის კონცენტრაციას, ლიგანდურ ფორმას, ნატივობას და პეპტიდების არსებობას კარლ ცაისის ფირმა UV, VIS და Specord-40-ის მეშვეობით ვადგენდით. მაკრომოლეკულების დეიტერირებას ვახდენდით გელ-ფილტრაციულ სვეტზე იოპანსენის მეთოდით [18].

წყალბად-დეიტერიუმის ჩანაცვლების კინეტიკის რეგისტრაცია ინფრაწითელ კარლ ცაისის ფირმის სპექტროფოტომეტრის Specord-80-ის საშუალებით ტარდებოდა.

აკლავის შედეგები და მათი განხილვა

როგორც ცნობილია, არსებობს გარკვეული დამოკიდებულება მცენარის კოქრებში ლეგჰემოგლობინის და აზოტის ფიქსაციის შორის [5], თუმცა დღემდე არ არის ცნობილი რა როლი ეკუთვნის ლეგჰემოგლობინს აზოტფიქსაციის მექანიზმში. ლეგჰემოგლობინი თავისი უნარით მიიერთოს O_2 , CO ან ნიკოტინატი რეაქციულუნარიან ცილებს მიეკუთვნება [11], რომელთა შიდამოლეკულური კონფორმაციული მოძრაობა ცნობილი სტატიკური სტრუქტურისგან განსხვავებით [1, 6, 14, 15, 19, 21, 23], ჯერ კიდევ ცნობილი არ არის.

წინამდებარე სამუშაოს მიზანია გამოვიკვლიოთ სოიოს ლეგჰემოგლობინ-ნიკოტინატის შიდამოლეკულური კონფორმაციული მოძრაობა და შევადაროთ ადამიანის ჰემოგლობინის და ჰემოგლობინის სუბერთეულებს ანალოგიურ პირობებში [2, 3, 4].

სურ. 1-ზე მოყვანილია სოიოს ლეგჰემოგლობინ-ნიკოტინატის წყალბად-დეიტერიუმის ჩანაცვლების კინეტიკური მრუდები ამიდ II/ამიდ I =f(t) -კოორდინატებში, სადაც ამიდ II/ამიდ I - არის ჩაუნაცვლებელი პეპტიდური H-ატომების წილი.

ვინაიდან ასეთი ნახაზების შედარება და ინტერპრეტაცია სხვადასხვა ცილებისთვის განსხვავებული ტემპერატურის და pH-ის მნიშვნელობებისათვის შეუძლებელია, ამიტომ საკვლევი ცილებისთვის ჩანაცვლების EX2 მექანიზმის შესრულების შემოწმებისთვის, აგრეთვე მიღებული მონაცემებიდან გამომდინარე, ცილის სტრუქტურულ-დინამიკური მახასიათებლების დასადგენად სურ. 1-ზე მოყვანილი კინეტიკური მრუდები გადავიყვანეთ $X=f(\lg k_0 t)$ კოორდინატებში, სადაც X - არის ჩაუნაცვლებელი პეპტიდური H - ატომების წილი t დროის მომენტში, k_0 - წყალბად-დეიტერიუმის ჩანაცვლების სიჩქარის მუდმივა პეპტიდური ჯგუფების სრული შედწევალობის პირობებში. ასეთი გრაფიკული აგება და მონაცემების ინტერპრეტაცია ჰვიდტის მიერ არის შემოთავაზებული [8, 17]. სურ.2-ზე ნათლად ჩანს, რომ pH7 და 8-ის არეში სოიოს ლეგჰემოგლობინ-ნიკოტინატს, სხვა ცილების ანალოგიურად [2], „ბორ-ეფექტის“ არეში აღმოაჩნდა ორი კონფორმერი. ამავე დროს, ამ ლეგჰემოგლობინის სტაბილობა უახლოვდება ადამიანის ჰემოგლობინის ნატივური სუბერთეულების სტაბილობას (თუმცა ამ არეში სუბერთეულებს მხოლოდ ერთი კონფორმერი აქვთ) და საგრძნობლად მცირეა ჰემოგლობინის მაღალსპინურ ლიგანდურ ფორმებთან შედარებით (სურ.2).

ავტორები მადლობას უცხადებენ მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის აზოტის ფიქსაციის და ასიმილაციის ლაბორატორიის გამგეს, აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ბატონ ნ.ნუცუბიძეს და ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ბიოფიზიკის ლაბორატორიის გამგეს ბატონ ბ.ათანასოვს წარდგენილი სამუშაოს შესრულების ხელშეწყობაში და მიღებული მონაცემების განხილვაში მონაწილეობისათვის.



1. *Вайнштейн Б.К., Арутюнян Э.Г., Куранова И.П., Борисов В.В., Сосфенов Н.И., Павловский А.Г., Гребенко А.И., Конарева Н.В.* ДАН СССР, 216, 690-693, 1974.
2. *Джинория К.Ш.* Изв. АН ГССР, сер.биол., 2, 125-130, 1987.
3. *Джинория К.Ш.* Изв. АН ГССР, сер.биол., 1, 41-45, 1988.
4. *Джинория К.Ш.* Изв. АН ГССР, сер.биол. (в сб.: Актуальные вопросы биологии и медицины), 439-444, 1988.
5. *Дилворт М., Эпplibи С.В.* В сб.: Проблема фиксации азота, М., "Мир", 1982, 613-682.
6. *Егоров И.А., Фейгина М.Ю., Казаков В.К., Шахпаронов М.И., Миталева С.И., Овчинников Ю.А.* Биорган. химия, 2, 125-128, 1976.
7. *Кудрявцева Н.Н., Бороденко Л.И., Краснобаева Н.Н., Жизневская Г.Я.* Биохимия, 2, 17-23, 1978.
8. *Хвидт А., Нильсен С.* Химия белка, "Мир", М., 1969, 136-236.
9. *Antonioni E., Brunori M.* Haemoglobin and myoglobin in their reactions with ligands, London, 1971.
10. *Benesh R.E., Benesh R.M.* Methods Biochem. Anal., 10, 43-48, 1962.
11. *Bergersen F.J., Turner G.L., Appleby C.A.* BBA, 292, 271-275, 1973.
12. *Bucci E., Frontichelli C.* J.Biol. Chem., 240, PC 551-552, 1969.
13. *Case D.A., Karplus M.J.* Mol.Biol., 132, 343-368, 1979.
14. *Ellfolk N., Sievers G.* Acta Chem.Scand., 25, 3532, 1971.
15. *Ellfolk N., Sierves G.* Acta Chem.Scand., 28, 1245, 1974.
16. *Geraci G., Parkhust L.I., Gibson Q.H.* J.Biol.Chem., 244, 4664-4667, 1969.
17. *Hvidt A.* Dinamic aspects of conformation changes in biological macromolecules. Ed. Sardon C. Reidel D. Publ. Company, 1973, 103-115.
18. *Johansen J.T.* BBA, 214, 551-553, 1970.
19. *Lehtovaara P., Ellfolk N.* FEBS-Lett., 43, 239, 1974.
20. *Moffat L.K., Simon S.R., Konigsberg W.H.* L.Mol.Biol., 58, 89-101, 1971.
21. *Richardson M., Dilworth M.J., Scawen M.D.* FEBS-Lett., 51, 33, 1975.
22. *Richmond T.J., Richards F.M.* J.Mol.Biol., 119, 537-555, 1978.
23. *Vainstain B.K., Arutyunian E.G., Kuzanova I.P., Borisov V.V., Sosfenov N.I., Pavlovskii A.G., Grebenko A.I., Konareva N. V.* Nature, 254, 163, 1975.

ВНУТРИМОЛЕКУЛЯРНАЯ ПОДВИЖНОСТЬ ЛЕГГЕМОГЛОБИН-НИКОТИНАТА, ИЗ СОЕВЫХ БОБОВ, ИССЛЕДОВАННАЯ МЕТОДОМ ВОДОРОДНОГО (¹H-²H) ОБМЕНА

К.Ш.Джинория, Е.Димитрова

Институт биохимии растений АН Грузия, Тбилиси
Институт органической химии Болгарской АН, София

Резюме

С помощью метода водородного (¹H-²H) обмена и ИК-спектроскопии показано, что никотинатная форма леггемоглобина из соевых бобов по аналогии с макромолекулами гемоглобина человека и миоглобина

кашалота в области рН 7-8 имеет два конформера, а также что стабильность леггемоглобина почти не отличается от стабильности нативных субъединиц гемоглобина человека и миоглобина кашалота; при этом она значительно ниже стабильности высокоспированных лигандных форм гемоглобина. Последнее указывает на существование функциональной корреляции между макромолекулами гемоглобина человека, миоглобина в мышцах млекопитающих и леггемоглобина в растениях.

INVESTIGATION OF SOYBEAN LEGHEMOGLOBIN-NICOTINATE CONFORMATIONAL STATES USING THE METHOD OF HYDROGEN EXCHANGE (^1H - ^2H)

K.Jinoria, E.Dimitrova

Institute of Plant Biochemistry, Georgian Academy of Sciences, Tbilisi
Institute of Organic Chemistry, Bulgarian Academy of Sciences, Sofia

S u m m a r y

By means of hydrogen exchange method (^1H - ^2H) and infrared spectroscopy soybean leghemoglobin-nicotinate conformational states were studied.

It is concluded that leghemoglobin-nicotinate macromolecules analogously to the Human hemoglobin and Sperm whale myoglobin at pH7-8 range have two conformers. Stability of leghemoglobin does not differ from that we have for native subunits of hemoglobin and for Sperm whale myoglobin, but it is lower than for high spiro ligand forms of hemoglobin. It lets us to think that there exists a functional correlation between macromolecules of Human hemoglobin, mammalian myoglobin, and plant leghemoglobin.

UDC 612

SHORT COMMUNICATIONS

GASEOUS EXCHANGE INDICES IN PHASES OF THE GENITAL CYCLE IN VARIOUS ALIMENTARY CONDITIONS OF THE WOMAN ORGANISM

A.Asatiani, I.Kvachadze

Tbilisi State Medical University

Accepted 6. 04. 1994

Living organism is a complex self-regulated system. All of its biological structures are integrated by numerous direct and reverse functional channels [1,5]. The over-all estimation of biological units may serve as a basis for prophylaxis, diagnosis or treatment of a number of pathological processes. In a number of publications there were discussed the mechanisms of interaction of alimentary and other vitally important systems - cardiovascular, respiratory, metabolic, etc. [1,2]. The authors demonstrated that the cycle changes of the ovarian function influence the physical efficiency, coordination, and exact movements in the woman organism.

It is very topical to study the physiological energetic changes in the woman organism in dynamics of the digestion function considering the age of the subject and the degree of alimentary motivation. In available literature there are few data on this problem.

The aim of the present study is to investigate the energetics of virgin organism according to the phases of the ovarian-menstrual cycle (OMC) in the states of physiological hunger and satiety. The experiments were carried out in virgin females of reproductive age (25 - 30 years-old) at the phases of proliferation and secretion of the OMC, which was determined by a basal temperature test during 6 - 8 weeks [4]. In consideration of the given phases of the OMC, experiments were carried out in the conditions of three alimentary states: physiological hunger - 11 - 12 hours following the last meal; primary satiety - 15 - 20 minutes after the meal; secondary satiety - 2-2,5 hours after eating. Subjective feelings of the women were determined by special questionnaire and the degrees of the food motivation and satiety were evaluated. The energetic changes were estimated by the method of indirect calorimetric definition of O_2 and CO_2 in exhaled air during 15 minutes.

The values of respiratory coefficient during the phases of proliferation and secretion were statistically different: During the primary satiation not later than 5 minutes after the meal in the both investigated phases of the cycle respiratory coefficient (RC) was statistically increased (0,84 - 0,82; $p < 0,05$) and this shows once more the role of metabolic changes in formation of "sensory satiation" [1]. In the state of secondary satiation RC during the phases of proliferation and secretion was not changed at all.

The quantity of the consumed oxygen on an empty stomach at the secretion phase was higher by 16% (187.9.223.5; $p < 0,001$) than at the proliferation phase, which conforms with the literary data [3]. The quantity of the consumed oxygen at the phase of proliferation during primary satiation increased insignificantly and at the phase of secretion its decrease was significant (223.5 - 179.0; $p < 0,01$). In the state

of secondary satiation the quantity of the consumed oxygen in both phases of the OMC decreased significantly (Table).

Table

Data of consumed oxygen and respiratory coefficient in different digestive states during the OMC phases

Phases of OMC	Alimentary state	Consumed oxygen (ml/min)	Respiratory coefficient
Proliferation	On an empty stomach	187.9±4.5	0.75±0.04
	Primary satiation	188.0±4.79 $P_1-P_2 < 0.05$	0.84±0.01 $P_1-P_2 < 0.05$
	Secondary satiation	173.2±3.5 $P_2-P_3 < 0.05$	0.82±0.01 $P_2-P_3 < 0.1$
Secretion	On an empty stomach	223.5±4.78 $P_1-P_1 < 0.001$	0.70±0.06 $P_1-P_1 < 0.05$
	Primary satiation	179.0±5.04 $P_1-P_2 < 0.01$	0.82±0.04 $P_1-P_2 < 0.05$
	Secondary satiation	171.0±3.5 $P_2-P_3 < 0.05$	0.82±0.02

Thus the intensity of the metabolic processes of the woman organism regularly changes according to the hormonal status. The optimal indices of energetic exchange are at the phase of proliferation. It is supposed that the anabolic effect of estrogens at the phase of proliferation defines adequate adaptation of the woman organism to various stimuli [3, 5] and, according to our data, alimentary load as well. The decrease of the hormonal concentration after ovulation and gradual increase of progesteron correlates with its catabolic properties. It may be supposed that it weakens the functional reserves of the organism. The obtained data may be considered in the medical practice with an aim to define treatment tactics and prognosis of mental and manual work productivity.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. *Asatiani A. Bakuradze A.* Neuro - humoral mechanisms of alimentary activation, Tbillisi. 1975.
2. *Asatiani A, Kvachadze I, Mineev M.* Proc. XV Congr. Physiol. Soc., 1987, Kishiniov, 417.
3. *Iatsenko E, I. Sechenov I.* *Physiol.*, **30**, 2, 202-205, 1994.
4. *Zhmakin K, Vikhliaeva E.* Bases of Gynecology and Endocrinology, Moscow, 1993.
5. *Van Look P.F.A. Baid D.* *Europ. J. Obstet. Gynec.*, **11**, 1, 121-123, 1980.

ა. ასათიანი, ი. კვაჭაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

რ ე ზ ი უ მ ე

დადგენილია, რომ ენერგეტიკული ცვლის ოპტიმალური მაჩვენებლები აღინიშნება ომც-ის პროლიფერაციის ფაზაში. როგორც ჩანს, ესტროგენების გამოხატული ანაბოლური მოქმედება ამ პერიოდში განაპირობებს ქალის ორგანიზმის ადეკვატურ ადაპტაციას სხვადასხვა, კერძოდ, კვებითი გამლიზიანებელის მოქმედების მიმართ.

ПОКАЗАТЕЛИ ГАЗОВОГО ОБМЕНА В ГЕНИТАЛЬНЫХ ФАЗАХ ЖЕНСКОГО ОРГАНИЗМА ПРИ РАЗЛИЧНЫХ ПИЩЕВЫХ НАГРУЗКАХ

А.В.Асатиани, И.Д.Квачадзе

Тбилисский государственный медицинский университет

Р е з ю м е

Показано, что оптимальные энергетические показатели отмечаются в фазе пролиферации ОМЦ. Предположительно, что анаболические воздействия нарастающего количества эстрогенов способствуют адекватному приспособлению женского организма к различным, в частности пищевым, нагрузкам

შპს 663.2524.-663.1214

მრკლმ წერილი

α-კეტოგლუტარმჟავას ბარდაქმნა საფუძვრების მიერ მიორეაქტულ სპირტულ დუღილში

ე.კირთაძე, ნ.ქიზიყურაშვილი კ.მარკოზაშვილი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს.დურშიშიძის სახელობის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი, თბილისი

შემოსული რედაქციაში 6.06.94

ენერგეტიკული და კონსტრუქციული ცვლის თავისებურებათა გამოვლენა საფუარში ორგანული მჟავების შესწავლასთან მჭიდრო კავშირშია [2,4]. მათი მეტაბოლიზმის პროდუქტების რაოდენობრივ და თვისობრივ განაწილებას ღვინოში არსებითი მნიშვნელობა აქვს მიკრობიოლოგიური და ბიოტექნოლოგიური პროცესების მართვისათვის [3]. წარმოდგენილ ნაშრომში გამოვლენილია საფუვრების მიერ მეორეული სპირტული დუღილის პირობებში α-კეტოგლუტარმჟავას ნახშირბადოვანი ჩონჩხის გამოყენების შესაძლებლობები.

ბასალა და მეთოდები

მადლარ აგენტად ბოთლური შამპანიზაციისათვის გამოყენებული იყო ღვინის საფუვრების საწარმოო შტამი *Saccharomyces vini*-39. $1,2^{14}\text{C}$ α-კეტოგლუტარმჟავა სატირაჟე ნაზავში შეიტანებოდა 32,2 მგ-ის რაოდენობით 800 მლ ღვინოზე ანგარიშით, რომლის რადიოაქტიურობა შეადგენდა 18,5 MBq. მეორეული სპირტული დუღილი მიმდინარეობდა $14^{\circ}\text{-}16^{\circ}\text{C}$ პირობებში. საფუვრის და ღვინის კომპონენტების ანალიზი ტარდებოდა ძირითადი დუღილის დამთავრებისთანავე ქიმიური, ქრომატოგრაფიული და ავტორადიოგრაფიული მეთოდების გამოყენებით. იდენტიფიცირებული ნაერთების რადიოაქტიურობა ისაზღვრებოდა სცინტილაციურ სპექტრომეტრზე SL-20.

კვლევის შედეგები და მათი განხილვა

ღვინოში, ნახშირორჟანგის მაღალი წნევის პირობებში, α-კეტოგლუტარმჟავას შემცველობა იზრდება. ამასთანავე საფუვრის სხვადასხვა სახეობა და შტამი კეტომჟავების სხვადასხვა რაოდენობას წარმოქმნის და გარდაქმნის [1]. მეორეული სპირტული დუღილის პირობებში საფუვრები ითვისებენ α-კეტოგლუტარმჟავას ნახშირბადოვან ჩონჩხს (ცხრილი 1), რომელიც მონაწილეობას იღებს საფუვრის ცილისა და თავისუფალი ამინომჟავების ბიოსინთეზში. ამინოებისა და გადაამინირების რეაქციათა ინტენსიურობაზე მიუთითებს გლუტამინმჟავასა და ლიზინის მაღალი რადიოაქტიურობა როგორც ცილის, ასევე თავისუფალ ამინომჟავათა ფონდში $1,2^{14}\text{C}$ α-კეტოგლუტარმჟავას შეთვისებისას. ამავე დროს შესწავლილი კეტომჟავას

ნახშირბადები აღმოჩენილია სხვადასხვა მეტაბოლური გზებით წარმოქმნილ ამინმჟავებში.

საფუკრების ცხოველქმედების შედეგად სინთეზირებულ ნივთიერებათა დიდი ნაწილი შამპანიზაციის დროს ღვინოში გადადის, რომელთაგან ძირითადია ორგანული მჟავები და ამინმჟავები. მეტაბოლურ პროცესთა თვითრეგულაციის საფუძველზე მყარდება წონასწორობა საფუკრისა და ღვინის კომპონენტებს შორის [5]. ორგანულ მჟავათა რადიოაქტიურობის თითქმის ნახევარი ქარვამჟავაზე მოდის. ორ ნახშირბადიან მჟავათა შორის ძირითადია გლიოქსალმჟავა. მეორეული დუდილის პირობებში აერობული ჟანგვის პროცესები შეზღუდულია, რის გამოც ორგანულ მჟავათა შემცველობაში მკვეთრი ცვლილებები საწყის ღვინომასალასთან შედარებით არ შეინიშნება [6]. ღვინოში იდენტიფიცირებულია 12 რადიოაქტიური ამინმჟავა, რომელთაგან ძირითადია ალანინი და გლუტამინმჟავა.

$1,2^{14}\text{C}$ α -კეტოგლუტარმჟავას გარდაქმნისას მადულარ არეში გამოიყოფა რადიოაქტიური ნახშირორჟანგიც: რადენობრივი გამოანგარიშებანი გვაჩვენებს, რომ გამოყოფილი $^{14}\text{CO}_2$ -ის რაოდენობა მცირეა და საწყისი რადიოაქტიურობის 1-5%-ს შეადგენს. მიუხედავად ამისა, მადულარ არეში იქმნება განსაკუთრებით ხელშემწყობი პირობები ნახშირორჟანგის რეფიქსაციისათვის, რომლის პროდუქტები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა გენეტიკური წარმოშობის ამინმჟავათა ბიოსინთეზში. მეორეული დუდილის პროცესში, როგორც ჩანს, ფუნქციონირებს კრებლის მოდიფიცირებული ციკლი -ჟანგვითი გარდაქმნებით α -კეტოგლუტარ-ატამდე და აღდგენითი გარდაქმნებით ოქსალოაცეტატიდან სუქცინატამდე.

ცხრილი 1

$1,2^{14}\text{C}$ α -კეტოგლუტარმჟავას ნახშირბადების ჩართვა საფუკრის ამინმჟავებში

იდენტიფიცირებულ ამინმჟავათა რადიოაქტიურობა %-ში ფრაქციის საერთო აქტიურობიდან			
ცილის ამინმჟავები		თავისუფალი ამინმჟავები	
გლუტამინმჟავა	38,6	გლუტამინმჟავა	46,0
ლიზინი	19,3	ლიზინი	29,6
ლეიცილი	15,2	ლეიცილი	10,3
ვალინი	10,3	პროლინი	4,1
ასპარაგინმჟავა	4,3	ვალინი	3,9
მეთიონინი	4,3	თიროზინი	3,3
სერინი	3,4	ფენილალანინი	2,8
ფენილალანინი	2,6		
ალანინი	2,5		

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. Вечер А.С., Рудоманова И.Ф. ДАН БССР, 18, 72-74, 1974.
2. Дурмишидзе С.В. В сб.: Проблемы эволюционной и технической биохимии. М., "Наука", 328-336, 1964.
3. Квасников Е.И. Прикладная биохимия и микробиология, 31, 2, 149-154, 1995.

4. Киртадзе Э.Г. Курдованидзе Т.М. Биохимические особенности вторичного спиртового брожения, Тбилиси, 1992.
5. Моисеева Л.Н. Прикладная биохимия и микробиология, 31, 1, 70-72, 1995.
6. Родопуло А.К. Биохимия шампанского производства, М.,1975.



ПРЕВРАЩЕНИЕ α -КЕТОГЛУТАРОВОЙ КИСЛОТЫ ДРОЖЖАМИ ПРИ ВТОРИЧНОМ СПИРТОВОМ БРОЖЕНИИ

Э.Г.Киртадзе, Н.Б.Кизикурашвили, К.М.Маркозашвили

Институт биохимии растений им. С.И. Дурмишидзе АН Грузии, Тбилиси

Резюме

Изучено превращение $1,2^{14}\text{C}$ α -кетоглутаровой кислоты дрожжами (*Saccharomyces vini*-39) в процессе шампанизации вина. Установлено, что углеродный скелет α -кетоглутаровой кислоты принимает участие в синтезе разных соединений, выявленных как в биомассе дрожжей, так и в вине; α -кетоглутаровая кислота, усвоенная дрожжами, частично окисляется до углекислого газа. Продукты рефиксации CO_2 принимают участие в биосинтезе аминокислот различного генетического происхождения.

THE TRANSFORMATION OF α - KETOGLUTARIC ACID BY YEASTS IN THE PROCESS OF SECONDARY ALCOHOL FERMENTATION

E.Kirtadze, N.Kizikurashvili. K.Markozashvili

S.Durmishidze Institute of Plant Biochemistry, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

Summary

The transformation of $1,2^{14}\text{C}$ α -ketoglutaric acid by yeasts (*Saccharomyces vini*-39) in the process of secondary alcohol fermentation was studied.

Participation of carboxylic skeleton of α -ketoglutaric acid in the synthesis of different compounds in yeasts biomass and wine was identified. α -ketoglutaric acid utilized by yeasts is partially oxidized to carbon dioxide.

Products of carbon dioxide refixation participate in biosynthesis of aminoacids of various genetic origin.

შპკ 612.821

მოკლე წერილი

**ფიცილირებადი ზანფუზის მიმდინარეობის თავისებურებანი
ჰემისფეროთაშორისო ფუნქციური ასიმეტრიის ასპექტში**

დ. მიმინოშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემია

შემოსულია რედაქციაში 14.16.94

თავის ტვინის ჰემისფეროების ფუნქციათა განსაზღვრა დიდი ხანია მკვლევართა ყურადღებას იპყრობს. უკანასკნელ ხანს, ამ მიმართულებით მრავალი კვლევაა ჩატარებული.

ლიტერატურის მონაცემები ნათლად ადასტურებს, რომ გარეგნულად სიმეტრიული თავის ტვინის ჰემისფეროები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მორფოლოგიური და ფუნქციური თვალსაზრისით.

შემჩნევა ჰემისფეროთაშორისი ასიმეტრიის მნიშვნელობა ქცევითი აქტიურობის პროცესებისა და მექანიზმების ფორმირებაში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა თავის ტვინის ჰემისფერული იშემიების დროს ავადმყოფთა სოციალურ გარემოსთან ადაპტაციის შესაძლებლობანი, დაგვეხასიათებინა მათი ქარაქტეროლოგიური თავისებურებანი და წარმოადგენა შეგვექმნა ინდივიდის ქცევითი აქტიურობის ხასიათზე.

რადგან ადამიანი ბიოსოციალური არსებაა, მისი ფსიქიკის სტრუქტურის და ფუნქციონირების კანონზომიერებების გაგება მხოლოდ მთლიანი პიროვნული ცნების გაგებითაა შესაძლებელი. ამის საშუალებას კი განწყობის თავისებურებათა შესწავლა იძლევა.

განწყობის თეორიის ავტორის დ.უზნაძის მოსაზრებით, განწყობა სუბიექტის არაცნობიერი ფსიქიკური მდგომარეობაა, იგი ნებისმიერი ქმედებისათვის მზაობას განსაზღვრავს და ამავე დროს მოსალოდნელი ქცევის პროგნოზირების საშუალებას იძლევა.

განწყობის შესწავლის ექსპერიმენტულ მოდელს ფიქსირებული განწყობის მეთოდი წარმოადგენს.

ფიქსირებული განწყობის შემუშავების სიადვილის, მისი აღკვეთის სისწრაფისა და საფეხურეობრივი მიმდინარეობის თავისებურებების მიხედვით გამოვყოფდით ვარიანტულ, სტატიკურ და დინამიკურ ტიპის განწყობას, ხოლო სტრუქტურული ნიშნების მიხედვით ვანსხვავდებით ტლანქ, პლასტიკურ, ლაბილურ და სტაბილურ განწყობას.

ფიქსირებულ განწყობას ვიკვლევდით ჰაპტურ სფეროში.

დისჰემიური კერის ლოკალიზაციის მიხედვით გამოკვლეული ცდის პირები შემდეგნაირად დაჯგუფდნენ:

I ჯგუფში გაერთიანებული იყვნენ ავადმყოფები, რომელთაც იშემიური ინსულტის კერა აღენიშნებოდათ თავის ტვინის მარცხენა ჰემისფეროში (23 შემთხვევა).

II ჯგუფში გაერთიანებული იყვნენ ავადმყოფები, რომლებშიც პათოლოგიური კლინიკური
ლოკალიზებული იყო მარჯვენა ჰემისფეროზი (25 შემთხვევა).

III ჯგუფი კი წარმოდგენდა საკონტროლო ჯგუფს (30 ჯანმრთელი ცდის პირი).
ჯანმრთელი ცდის პირებისათვის ფიქსირებული განწყობის დინამიკური ტიპი იყო
დამახასიათებელი. იგი შემთხვევათა 68%-ში გვხვდებოდა.

ამგვარი განწყობის მქონე ადამიანებისათვის უცხოა როგორც შინაგანი, ასევე
გარეგანი კონფლიქტები, ქცევითი მოტივაციები მაღალი სოციალურობითა და
კომუნიკაბელურობით გამოირჩევა. ისინი ადვილად ეგუებიან გარემოს მძიმე ემოციური
განცდების გარეშე.

ჩვენი გამოკვლევით გაირკვა, რომ ჯანმრთელი ცდის პირებისაგან განსხვავებით
დაავადებულებში ფიქსირებული განწყობის მიმდინარეობა დიამეტრულად
საპირისპირო ტიპოლოგიური თავისებურებებით ხასიათდება. კერძოდ, დაავადების
შემთხვევებში ჭარბობდა ფიქსირებული განწყობის სტატიკური ტიპი და თავს იჩენდა
ნულეული განწყობის შემთხვევები, რომელიც ნორმის დროს პრაქტიკულად არ
ვლინდებოდა.

ფიქსირებული განწყობის მსვლელობაში პათოლოგიური ცვლილებები
განსაკუთრებით მკვეთრად მქედნდებოდა მარცხენა ჰემისფეროზს დაზიანების დროს.
ამ შემთხვევებში ფიქსირებული განწყობის სტატიკური ტიპი 61%-ში აღინიშნა, ხოლო
ნულეული განწყობა 13,3%-ში დაფიქსირდა.

სტატიკური განწყობის მქონე პირები მულტივალ მიჰყვებიან ერთხელ შემუშავებულ
განწყობას. გაძნელებულია ერთი ქმედებიდან მეორეზე გადასაცვლების პროცესი.
ემოციურ-აფექტურ სფეროში წამყვანია უარყოფითი ემოციური განცდები,
პიპერსენსიტიულობა, მარტოობისა და მიუსაფრობის შეგრძნება.

რაც შეეხება ფიქსირებული განწყობის თავისებურებების შეფასებას ცალკეული
ნიშნების მიხედვით, იგი შემდეგნაირ სურათს იძლევა: პრაქტიკულად ჯანმრთელი ცდის
პირებისათვის დამახასიათებელია ფიქსირებული განწყობის პლასტიკური
მიმდინარეობა, იგი 82% შემთხვევაში გვხვდებოდა. განწყობის პლასტიკურობა ხელს
უწყობს ერთი მოქმედებიდან მეორეზე გადასაცვლების პროცესს. ჯანმრთელი ცდის
პირები ადვილად ქმნიან მომავალი ქცევისათვის საჭირო განწყობას. მათთვის
დამახასიათებელია ნებელობითი აქტიურობის სიმტკიცე და ენერგიულობა.

პლასტიკურობის საპირისპირო ნიშნით-სიტლანქით გამოირჩევა ფიქსირებული
განწყობის თავისებურება მაშინ, როცა საქმე იშემიური ინსულტის მქონე ავადმყოფებს
ეხება. ამ მხრივ თვალსაჩინო სხვაობა მიღებულ იქნა მარცხენა ჰემისფეროზს დაზიანების
დროს. ამ შემთხვევაში სიტლანქე პლასტიკურობის თანაფარდობა 84,4%-15,6%-ზე
განისაზღვრებოდა.

ფიქსირებული განწყობის სიტლანქე უპირველეს ყოვლისა, განწყობის
მიმდინარეობის ინერტულობაზე მეტყველებს. ასეთი განწყობის ნიადაგზე მოქმედი
ადამიანისათვის გაძნელებულია სიტუაციის ანალიზი და დიფერენციაცია, სიტუაციის
შესაბამისი რეაქციების გამომქედანების უნარი.

ექსპერიმენტულ პირობებში შემუშავებული განწყობის დროში გამძლეობაზე
მიუთითებს ფიქსირებული განწყობის სტაბილობა-ლაბილობის მახასიათებელი.

საკონტროლო ჯგუფის ცდის პირები განწყობის სტაბილობით ხასიათდებიან. იგი
შეხმთხვევათა 74%-ში გვხვდება. თავის ტვინის იშემიური ინსულტის შემთხვევებში კი
პირიქით, ჭარბობს ლაბილური განწყობა. I ჯგუფის ცდის პირებში იგი 76%-ში
გვხვდებოდა, II ჯგუფში კი-56%-ში. ამ ნიშნით მიმდინარე განწყობის პირთათვის
დამახასიათებელია შინაგანი ლოგიკისა და ნებისყოფის სისუსტე, იმპულსურობა,
ფსიქასთენიზაცია.

ამრიგად, ფიქსირებული განწყობის მეთოდით თავის ტვინის იშემიური ინსულტის მქონე ავადმყოფთა კვლევის შედეგები საშუალებას გვაძლევს გამოვეყენოთ მათი დაავადებისათვის დამახასიათებელი ფიქსირებული განწყობის მიმდინარეობის თავისებურებანი და ამ თვალსაზრისით მარჯვენა და მარცხენა ჰემისფეროებს დიფერენციულად მივუღებთ.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ განწყობის ფორმირება და მიმდინარეობა გარკვეულ შესატყვისობაშია თავის ტვინის ჰემისფეროთა ფუნქციურ ასიმეტრიასთან. ჩვენს მიერ დადგენილ იქნა, რომ თითოეულ მათგანს შეაქვს სპეციფიკური წვლილი განწყობის ფორმირების, რეალიზაციის და შესაბამისად, ფსიქიკური აქტიურობის ჩამოყალიბების საქმეში. ამ მხრივ, ძირითადი მნიშვნელობა მარცხენა ჰემისფეროს უნდა მიენიჭოს, რადგან სწორედ დომინანტური ჰემისფეროს დაზიანებისას გვხვდება ფიქსირებული განწყობის მიმდინარეობაში განსაკუთრებული და მკვეთრად გამოხატული ცვლილებები.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. უზნაძე დ.ნ. განწყობის თეორიის ძირითადი დებულებანი, თბილისის უნივერსიტეტის შრომათა კრებული 1941, 14-33.
2. Бежанишвили Б.Д. Вопросы экспериментальной патопсихологии., М., 1965.
3. Бжалава И.Т. Установка и поведение, Тбилиси, 1988.
4. Мосидзе В.М. В сб: Бессознательное, 1, Тбилиси, "Мецნიერება", 1978, 702-708.

ОСОБЕННОСТИ ФИКСИРОВАННОЙ УСТАНОВКИ В АСПЕКТЕ ФУНКЦИОНАЛЬНОЙ АСИМЕТРИИ ПОЛУШАРИЙ ГОЛОВНОГО МОЗГА

Д.К. Миминошвили

Тбилисская государственная медицинская академия

Резюме

Изучались особенности фиксированной установки в аспекте межполушарной функциональной асимметрии.

Исследовано 48 больных с ишемическим инсультом разной локализации: в 23 случаях ишемический очаг был локализован в левом полушарии, в 25 — в правом. Исследования проводились также в контрольной группе.

Практически здоровые лица отличались динамичной (68%), пластичной (82%) и стабильной (74%) фиксированной установкой. У больных течение фиксированной установки характеризовалось диаметрально противоположными особенностями: превалировали статические, грубые и лабильные типы установки. Изменения особенно проявлялись при ишемическом инсульте в левом полушарии (статичность — 61%, грубость — 84%, лабильность — 76%).

Таким образом, левое полушарие играет значительную роль в организации фиксированной установки.

D.Miminozhvili

Tbilisi State Medical Academy

S u m m a r y

The peculiarities of fixed set were studied in patients with cerebral ischemia. The following characteristic features of fixed set were singled out: dynamic and static; plastic and gross; stable and labile.

The tests were repeated three times with an aim to specify the neurodynamic and psychological mechanisms of the cerebral ischemia. Total of 48 patients with cerebral ischemia were investigated. In 23 cases pathological foci were located in the left hemisphere. In 25 cases brain lesion was in the right hemisphere. The control group consisted of 30 healthy persons, in which clearly prevalent type of fixed set was dynamic, plastic, and stable. Pathological changes of fixed set were revealed in the patients with cerebral ischemia. In all the patients fixed set was gross, static and labile. These changes were clearly marked in the cases of the left hemisphere damage (static - 61%, gross - 84%, labile - 76%).

Thus, the left hemisphere tends to play the major role in the organisation of conscious and unconscious psychic processes.

შპა 616.34-036.11

მოკლე წერილი

კამპილობაქტერთა იდენტიფიკაციის ზოგიერთი საკითხისათვის

ა.ცხვედიანი, ვ.ბულაგოვა, მ.გოდერძიშვილი, ა.ჭანიშვილი, დ.გიორხელიძე, თ.ჭანიშვილი

თბილისის სსგ „ბაქტერიოფაგი“, ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
შემოსულია რედაქციაში 21.12.93

მწვავე ინფექციურ დაავადებათა შორის კამპილობაქტერიოზი უკანასკნელ პერიოდში გამოვლენილი, ნაკლებადცნობილი დაავადებაა. ლიტერატურის მონაცემებით, მისი გამოყოფის სიხშირე არ ჩამოუვარდება შიგვლებს და სალმონელებს [3,4,6].

კამპილობაქტერთა ოჯახიდან მწვავე ნაწლავური ინფექციის ძირითადი გამომწვევებია: *C.jejuni*, *C.coli*, *C.laridis*, ხოლო *C.fetus*-ი კი ხშირად იწვევს არტრიტებს, მენინგიტებს და სხვა [2,6]. 1983 წელს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ლორწოვანის ბიოფტატების გამოკვლევისას გამოყოფილი იქნა *C.pyloridis*, რომელიც ამჟამად *Helicobacter pylori*-ს სახელწოდებითაა ცნობილი. აღნიშნული დაავადების პათოგენეზში ამ მიკროორგანიზმების როლი ბ.მარშალის მიერ დაავადების ექსპერიმენტული მოდელის მეოხებით დადასტურდა [7,8].

კამპილობაქტერთა მეცნიერული კვლევა მსოფლიოს არც თუ ისე მრავალ ქვეყანაში მიმდინარეობს. ლაბორატორიულ პირობებში მათი კულტივირების მეთოდთა სირთულის გამო ბაქტერიოლოგიური დიაგნოსტიკა ჩვენი ქვეყნის სამედიცინო დაწესებულებებში საერთოდ არ ხორციელდება.

კამპილობაქტერიოზის კლინიკური მიმდინარეობა არ იძლევა რომელიმე ერთი დაავადებისათვის დამახასიათებელ სიმპტომატიკას, რაც ერთგვარად ახანგრძლივებს და ართულებს სწორ დიაგნოზს და დროულ სამკურნალო

სურ. 1. „მფრინავი თოლიას“ ფორმა

ლონისძიებათა გატარებას. ამგვარ შემთხვევებში ბაქტერიოლოგიურ დადასტურებას გადამწყვეტი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. აქედან გამომდინარე, კვლევის მიზანს შეადგენდა კამპილობაქტერთა გამოყოფის და ლაბორატორიულ პირობებში მათი კულტივირების მეთოდთა ათვისება და სრულყოფა, რაც დიდ სიმწელებთანაა დაკავშირებული როგორც სტანდარტული საკვები არეების და ანტიბიოტიკების დეფიციტის, ასევე ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ჩვენ მიერ აღნიშნული ინფექციის გამომწვევთა სტანდარტული შტამების (C. jejuni col⁺ -521, E-50, Z-74) მოდელზე ათვისებული იქნა კამპილობაქტერთა გამოყოფის და კულტივირების ძირითადი მეთოდები. გამოკვლევებს ვატარებდით სტანდარტულ საკვებ არეებზე (კოლუმბია-აგარი და დალესტინის აგარი კამპილობაქტერებისათვის) ერთროციტების და ანტიბიოტიკების შესაბამისი კომპლექტის დამატებით.



სურ.2. კამპილობაქტერიის უჯრედი პოლარულად განლაგებული ორი შოლტით

კულტივირებას ვახდენდით 42°C-ზე 48-72 სთ-ის განმავლობაში, ანაერობ-სტატში, აირთა შემდეგი შემადგენლობის ნარევი: O₂-5%, CO₂-10%, N-85%. რამოდენიმე პასაჟის შემდეგ მოვახდინებ ზემოაღნიშნული სტანდარტული შტამების კულტურალურ-მორფოლოგიური თვისებების შესწავლა. აღმოჩნდა, რომ ეს შტამები მყარ საკვებ არეზე ანვითარებენ მრგვალ, სწორი კიდეებით, ამობურცულ, მონაცრისფრო ან თეთრი ფერის ცალკეულ კოლონიებს.

ნაცხების შედეგას ვახდენდით გრამის წესით ან მხოლოდ ფუქსინით. მიკროსკოპულად ისინი გრამულარყოფითი, მოხ-

რილი ან S-ებრი ფორმის მიკროორგანიზმებია. განლაგება შეიძლება ქონდეთ ცალკეული, წყვილი ან სპირალისებური, როგორც წესი, ახასიათებთ ძლიერი პოლიმორფიზმი, უმრავლეს შემთხვევაში გამოხატული კოკური ფორმებით.

კვლევის შედეგები და მათი განხილვა


კამპილობაქტერები აქტიურად მოძრავი მიკროორგანიზმებია, რასაც მათი პოლარულად განლაგებული წამწამები უწყობენ ხელს. ახასიათებთ ხრანისებური მოძრაობა, მიკროაეროფილები – (O₂-5-10%) და თერმოფილებია – (37°C). ელექტრონული მიკროსკოპიის მონაცემებით მათი ფორმა S-ისებრი ან სპირალურია, შედარებით იშვიათად, დაყოფის შემდეგ უჯრედები არ სცილდებიან ერთმანეთს და ასეთ შემთხვევაში ქმნიან ე.წ. „ფრინავი თოლიას ფრთების“ სურათს, რაც მხოლოდ ახალგაზრდა კულტურებში გვხვდება [1] (სურ. 1).

ელექტრონულ მიკროსკოპში კარგად ჩანს პოლარულად განლაგებული ერთი ან ორი წამწამი (სურ. 2).

კოკურ ფორმებს, რომლებიც ყოველთვის ჭარბადაა წარმოდგენილი ან საერთოდ არ გააჩნიათ წამწამები ან ინარჩუნებენ მხოლოდ ერთს [5] (სურ.3).

გამოსაკვლევ მიასლის შემოტანა მნიშვნელოვნად შეზღუდა რექტალური ნაცხების აღების თვისებურებამ (0,8-1,0 სმ დიამეტრის ალუმინის მარყუჭით 8 სმ სიღრმეზე ლორწოვანის ჩამოფხვკა).

გამოკვლეული იქნა რამოდენიმე ავადმყოფი სისხლიანი დიარეით. მხოლოდ ერთი ავადმყოფიდან გამოიყო შტამი – AN-1, გამოყოფილი შტამის კულტურალურ-მორფოლოგიური თვისებები ძირითადად დაემთხვა ზემოაღწერილი C.jejuni-ს პარამეტრებს იმ განსხვავებით, რომ ელექტრონულ მიკროსკოპში ეს შტამი მხოლოდ კოკური ფორმებით იყო წარმოდგენილი. ხანგრძლივი პასაჟის და ცალკეული კოლონიების გამოყოფის შემდეგ მიღებული იქნა კამპილობაქტერებისათვის დამახასიათებელი ტიპური ფორმის უჯრედები (სურ.4).



სურ.3. C.jejuni-ს კოკური ფორმა

ცესში შესწავლილი იქნა თორმეტჯოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების დროს ენდობიოფისური მასალის 30 სინჯი. საბიოფისო მასალის მოპოვება ხდებოდა ენდოსკოპიის დროს კუჭის ანტრალური ნაწილიდან, სტერილობის წესების დაცვის მაქსიმალური გათვალისწინებით და ლორწოვანი გარსის ფრაგმენტების სპეციალურ სატრანსპორტო არეში მოთავსებით.



სურ.4. ავადმყოფიდან გამოყოფილი C.jejuni

შტამების მდგომარეობა არ გაუმჯობესდა. ლიტერატურის მონაცემებითაც H.pylori ძირითადად კოკურ ფორმებს შეიცავს [5].

პილორული ჰელიკობაქტერები ამ ოჯახის სხვა წარმომადგენლებისაგან მორფოლოგიურად განსხვავდებიან შოლტების ერთ პოლუსზე განლაგებით (ლოფოტრიხებია) [1,7] (სურ.5).


გარდა ამისა, დუოდენური ლოკალიზაციის წყლულისა და ეროზიების 146 შემთხვევის ენდობიოფისურ მასალაში პილორული ჰელიკობაქტერების აღმოსაჩენად გამოვიყენეთ ექსპრეს-მეთოდი ურეაზული აქტიურობისა, რამაც 62,3% გამოავლინა ამ მიკროორგანიზმების არსებობა კუჭის ლორწოვანში აღნიშნული პათოლოგიური პროცესების დროს.

გამოჯამრთელების ორთვიანი ინტერვალის შემდეგ იგივე ავადმყოფს აღიარებულ დიარეა აღენიშნა სისხლის გარეშე, ავადმყოფის მომვლელის გადმოცემით მკურნალობა ტარდებოდა ანტიბიოტიკ დორიქსით (coated doxycyclin); მიუხედავად ამისა, განმეორებით იქნა გამოყოფილი შტამი AN-2, რომელიც ზუსტად იმეორებდა AN-1-ის ყველა თვისებას.

რესპუბლიკური N 2 საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების გასტროენტეროლოგიისა და ენდოსკოპიის განყოფილებასთან თანამშრომლობის პრო-

კულტურათა გამოყოფა ხდებოდა სტანდარტულ საკვებ არეზე (კოლუმბია აგარი) ერთროციტების და ანტიბიოტიკების შესაბამისი კომპლექტის დამატებით. გამოყოფილია უაღრესად დისოცირებული 8 შტამი (26,6%).

გამოყოფილი შტამები მყარ ნიადაგზე ანვითარებენ წვრილ, გამჭვირვალე კოლონიებს; მიკროსკოპულად გრამუარყოფითი, მოხრილი, ნაზი ჩხირებია, ყველა შემთხვევაში დამახასიათებელი ძლიერი პოლიმორფიზმით. ზემოთ წარმოდგენილ შტამებთან შედარებით აქ გაცილებით მეტი იყო კოკური ფორმები. პასირებით



მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით ეს ტესტი მაღალი სპეციფიკურობით ხასიათდება, თუმცა აქვე აღნიშნავენ, რომ ურეაზა (-) ბიოფტატებიდან 12% შემთხვევაში ამოითესა ჰელიკობაქტერი პილორი [6].

ერთროციტების დეფიციტმა ხელი შეგვიშალა შტამების ნორმალურ მდგომარეობაში მოყვანაში, მაგრამ შესწავლილი დამატებითი ტესტები ადასტურებენ რვა შემთხვევაში პილორული ჰელიკობაქტერების არსებობას, რაც, როგორც უკვე აღნიშნეთ, შესწავლილი მასალის 26,6% შეადგენს. როგორც სტანდარტული, ასევე ახლადგამოყოფილი

სურ.5. H.pylori ერთ პოლუსზე განლაგებული შოლტებით

შტამების კულტურალურ-მორფოლოგიური თვისებების გაანალიზებისა და ელექტრონული მიკროსკოპირების შემდეგ ხდებოდა მათი დამატებითი შესწავლა ზოგიერთი სადიფერენციაციო-საღიაგნოზო ტესტების მიხედვით [6] (ცხრილი 1).

ცხრილი 1

სტანდარტული და ახლადგამოყოფილი შტამების დამოკიდებულება დამატებითი საღიაგნოსტიკო-სადიფერენციაციო ტესტების მიმართ

შტამების დასახელება	გამოყოფა	ურეაზა	H ₂ S-ის წარმოქმნა	ტემპერატურა		
				25°C	37°C	42°C
1	2	3	4	5	6	7
C.jejuni	სტანდარტული	-	+	-	+	+
AN-1	ახლადგამოყოფილი	-	+	-	+	+
AN-2	ახლადგამოყოფილი	-	+	-	+	+
H.pylori-1	ახლადგამოყოფილი	+	+	-	+	-
H.pylori-2	ახლადგამოყოფილი	+	+	-	+	-
H.pylori-3	ახლადგამოყოფილი	+	+	-	+	-
H.pylori-4	ახლადგამოყოფილი	+	+	-	+	-
H.pylori-5	ახლადგამოყოფილი	+	+	-	+	-
H.pylori-6	ახლადგამოყოფილი	+	+	-	+	-
H.pylori-7	ახლადგამოყოფილი	+	+	-	+	-
H.pylori-8	ახლადგამოყოფილი	+	+	-	+	-

ცხრილში მოყვანილი შედეგებით დადასტურებულია ჩვენ მიერ გამოყოფილი მიკროორგანიზმების კამპილობაქტერთა ოჯახისადმი კუთვნილება, რაც 4 და 5 ტესტებისადმი მათი ანალოგიური დამოკიდებულებითაა გამოხატული, კერძოდ, C.jejuni-სა და H.pylori-ს შტამები წარმოქმნიან H₂S-ს და არ იზრდებიან 25°C-ზე. ხოლო 3,6,8 ტესტებით C.jejuni-სა და H.pylori-ს შტამების სახეობრივი სადიფერენციაციო-საღიაგნოსტიკო ზოგიერთი ნიშანთვისებაა ხაზგასმული: C.jejuni-ს შტამებს არ ახასიათებთ ურეაზული აქტიურობა და მათი ინკუბაციის

ტემპერატურული ოპტიმუმი 37°C. *H. pylori*-ს შტამებისათვის კი დამახასიათებელი ურეაზული აქტიურობა და მათი ინკუბაციისათვის ტემპერატურული ოპტიმუმი 37°C.

ამრიგად, ათვისებულია კამპილობაქტერების გამოყოფის ძირითადი მეთოდები; შერჩეულია კამპილობაქტერთა დიაგნოსტიკისათვის აუცილებელი ტესტები; თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებების დროს ენდობიოფსიურ (ურეაზა +) სინჯებში *H. pylori*-ს არსებობა დადასტურებულია კულტურალურ-მორფოლოგიური და დამატებითი სადიფერენციაციო-სადიაგნოსტიკო ტესტების მიხედვით, რაც შესწავლილი მასალის 26,6% შეადგენს.

განხილული შრომა რესპუბლიკაში ამ მიმართებით გადადგმული ერთ-ერთი პირველი ნაბიჯთაგანია.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. Рыбальченко О.В., Чайка Н.А. Острые кишечные инфекции, **10**, Л., 1986, 123-129.
2. Самитова В.И., Пясецкая Е.С., Дайтер А.Б. Клин. мед., **4**, 78-80, 1983.
3. Хазенсон Л.Б., Сафонова Н.В., Матвеева З.Н., Беляева Н.В., Голутова Н.К., Романенкова Н.И. ЖМЕИ, **7**, 17-21, 1986.
4. Чайка Н.А. Инф. и параз. болезни, **3**, М., ВНИИМИ, 1987, 115-117.
5. Чайка Н.А., Рыбальченко О.В., Сафонова Н.В. Острые кишечные инфекции, Л., 1984 98-106.
6. Чайка Н.А., Хазенсон Л.Б., Бутцлер Ж.П. Кампилобактериоз, "Медицина", М., 1988, 181-186.
7. Marshall B., Warren I. Lancet, **1**, 1273-1275, 1983.
8. Taylor D. Culture, **9**, 1, 381-383, 1983.

О НЕКОТОРЫХ ВОПРОСАХ ИДЕНТИФИКАЦИИ КАМПИЛОБАКТЕРОВ

А.Н.Цхведიანი, В.А.Булавкова, М.Г.Годердзишვილი,
А.Н.Чანიшვილი, Д.Д.გიორხელიძე, Т.Г.Чანიшვილი

НПО "Бактериофаг" им. Г.Элиава Тбилиси

Резюме

Освоены методы выделения и идентификации кампилобактеров. От больных с диарейным синдромом изолированы штаммы, относящиеся к виду *C. jejuni*, имеющие наибольшее значение в развитии кампилобактериоза – острого кишечного заболевания у людей.

Исследованы также уреазоположительные биоптаты слизистых оболочек 30 больных с язвой 12-перстной кишки. *Helicobacter pylori* выделен в 8-ми случаях (26,6%).

Результаты, полученные культурально-морфологическими методами, подтверждены электронно-микроскопическими данными.

Работа является одним из первых исследований, проведенных в Грузии в этом направлении.

SOME PROBLEMS OF CAMPILOBACTER IDENTIFICATION

A.Tskhvediani, V.Bulavkova, M.Goderdzishvili, A.Chanishvili, D.Giorkhelidze, T.Chanishvili

G.Eliava SIU "Bacteriophage", Tbilisi

Summary

The methods of isolation and identification of *Campilobacter* have been mastered in this work. *C.jejuni* strains, being of great importance in the development of campilobacteriosis – acute intestinal human disease, were isolated from the patients with diarrhea syndrome. The urease positive biopats of mucous membrane from 30 patients with duodenal ulcer were examined. *Helicobacter pylori* was isolated in 8 cases (26,6%). The results obtained by culture – morphologic methods are confirmed by electron microscopic data. The work is one of the first performed in Georgia.



უაგ 6.12.111

ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია

**ლაზერის სხივის ბავლენა ბოცვერის წითელი სისხლის
მასხანათებლზე**

ი.ლომიძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემია

შემოსულია რედაქციაში 25.04.95

შესწავლილ იქნა ბოცვერების წითელი სისხლის ფიზიოლოგიური, ბიოქიმიური და მორფო-ციტოქიმიური მახასიათებლები ლაზერის უწყვეტი და წყვეტილი სხივის ზემოქმედებით. ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ ლაზერს ერთროციტების მიმართ გააჩნია იმუნომამოდულირებელი თვისება, აუმჯობესებს სისხლის რეოლოგიურ თვისებებს და ჰემატოენცეფალური ბარიერის ფუნქციას. ნაჩვენებია ლაზერის სხივის წყვეტილად მიწოდების მეტი ეფექტურობა, ლაზერის სხივის უწყვეტ მოქმედებასთან შედარებით.

მოსახლეობის გაზრდილი ალერგიზაციისა და სამკურნალო პრეპარატების ხმარებისას ტოქსიკო-ალერგიულ გართულებათა რაოდენობის გაზრდის პირობებში მკურნალობის არაფარმაკოლოგიურ საშუალებათა გამოიყენება განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება. ამ მხრივ სამედიცინო პრაქტიკაში ლაზეროთერაპიის შემოღება მნიშვნელოვანი და პერსპექტიულია. ლაზერული გამოსხივება უკანასკნელ წლებში ფართოდ გამოიყენება ქირურგიაში, ოფთალმოლოგიაში, კარდიოლოგიაში, ნევროპათოლოგიაში, უროლოგიაში, სტომატოლოგიაში (2, 3, 5. 7. 9, 10).

ლაზერული დასხივების, როგორც სამკურნალო საშუალების კლინიკებში ინტენსიური ხმარების მიუხედავად, მისი ზეგავლენა სისხლზე პრაქტიკულად შეუსწავლელია. თუმცა საყოველთაოდ ცნობილია, რომ სისხლის მახასიათებლები პირველნი რეაგირებენ ორგანიზმში ყოველგვარ პათოლოგიურ გადახრაზე.

არ არის გარკვეული ლაზერის გავლენა ფორმიანი ელემენტების მორფო-ფუნქციურ და სისხლის რეოლოგიურ თვისებებზე, აგრეთვე იმუნურ სისტემაზე.

ლაზერული გამოსხივების დადებითი სამკურნალო ეფექტი ნაწილობრივ აიხსნება მისი იმუნომოდულაციური ზეგავლენით, მაგრამ პირდაპირი

მონაცემები ლაზერის იმუნომამოღულირებელ ეფექტზე არ მოგვეპოვება. არ არის აგრეთვე მონაცემები ლაზერის სხივის გავლენის თაობაზე სისხლის რეოლოგიურ თვისებებზე. ამდენად, ლაზერის გამოსხივების მოქმედების შესწავლა სისხლის თვისებებსა და ფუნქციებზე თანამედროვე მედიცინის აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

მასალა და მეთოდები

ექსპერიმენტები ჩატარებულია 24 ზრდასრულ "შინშილას" ჯიშის მამრ ბოცვერზე. ცხოველები დაყოფილნი იყვნენ 3 ჯგუფად (6-6 თითოეულში). პირველი ჯგუფის ცხოველებზე ზემოქმედება ხდებოდა ლაზერის უწყვეტი სხივით. მეორე ჯგუფის ცხოველებზე ლაზერის წყვეტილი სხივით, წყვეტის ინტერვალი 0,1 წმ-ში. მესამე ჯგუფის ცხოველებზე აგრეთვე ლაზერის წყვეტილი სხივით, წყვეტის ინტერვალი - 0,01 წმ-ში. ლაზერის სხივის წყაროდ გამოყენებული იყო ჰელიუმ-ნეონური ლაზერის დანადგარი ავტომატური პროგრამული ტაიმერით; დასხივების ხანგრძლივობა - 3 წუთი.

ერთროციტების გათვლა (1 მმ3), ელს-ი და ჰემატოკრიტი ისაზღვრებოდა ცნობილი ლაბორატორიული მეთოდებით.

ფერმენტ კატალაზას აქტიურობა განისაზღვრებოდა ბახის და ზუბკოვის (1) მეთოდით, ხოლო ფერმენტ გლუკოზო-6-ფოსფატ-დეჰიდროგენაზა - სპექტროფოტომეტრულად (4). ერთროციტების მორფო-ციტოლოგიურ-ულტრასტრუქტურული გამოკვლევა წარმოებდა სინათლის, ლუმინესცენტური და მასკანირებელი მიკროსკოპებით. სისხლის პარამეტრები შეისწავლებოდა ლაზერის სხივის მოქმედებამდე, მოქმედების 1, 24 და 72 საათის შემდეგ. ციფრული მონაცემები დამუშავებულია ვარიაციული სტატისტიკის მეთოდით.

კვლევის შედეგები და მათი განხილვა

ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზმა აჩვენა განსხვავება ლაზერის სხივის უწყვეტ და წყვეტილ ზემოქმედებას შორის. პირველი ჯგუფის ცხოველებში ლაზერის მოქმედების ერთი საათის შემდეგ ერთროციტების რაოდენობა გაიზარდა 100.000 ერთეულით, ელს-ი - 2 მმ-ით და გამოვლინდა ჰემატოკრიტის დაკლების ტენდენცია. მეორე და მესამე ჯგუფის ცხოველებში ერთროციტების რიცხვი გაიზარდა 200.000-300.000-ით, ელს-ი - 4-8 მმ-ით და ჰემატოკრიტი შემცირდა 10-15%-ით. პირველი ჯგუფის ცხოველებში აღინიშნა გლუკოზო-6-ფოსფატ-დეჰიდროგენაზას და კატალაზას აქტიურობის ტენდენცია შემცირებისაკენ, მეორე და მესამე ჯგუფის ცხოველებში კი ფერმენტები შესაბამისად შემცირდა $3 \pm 0,56\%$ და $0,11 \pm 0,05\%$ -ით.

მორფოლოგიური მაჩვენებლების მხრივ შემდეგი ცვლილებები აღინიშნა: ნორმოციტების რაოდენობა გაიზარდა (I ჯგ. 78,4 \pm 2,9-დან 85,5 \pm 1,25-მდე, II-ში - 91,0 \pm 2,3-მდე, III-ში - 92,0 \pm 2,3-მდე), ხოლო სარწმუნოდ შემცირდა მაკროციტების, მიკროციტების, აკანტოციტებისა და უჯრედ-ჩრდილების



რაოდენობა. გაიზარდა ე.წ.სამიზნე უბნიანი ნორმოციტების რიცხვი თითოეული უჯრედის სამიზნე უბნის ფართი. ეს კი მიუთითებს აღსორბციული თვისებების და შესაბამისად იმუნური მოქმედების ინტენსივობის ზრდაზე.

ლაზერის დასხივებით მნიშვნელოვნად (სარწმუნოდ) შემცირდა პათოლოგიური, გახლჩილი და დანაოჭებული ერითროციტების რიცხვი; გაიზარდა წაგრძელებული ფორმის ერითროციტების რაოდენობა, რომლებიც ადვილად გადაიან ჰემატოენცეფალურ ბარიერს, სადაც "შეებრძოლებიან" იქ მოხვედრილ პათოლოგიურ ანტიგენს.

ლაზერის სხივის მოქმედებით გაიზარდა განსაკუთრებით II და III ჯგუფში ერითროციტების ადჰეზირება ნეიტროფილებთან და ლიმფოციტებთან. ელექტრონული მიკროსკოპის ქვეშ ერითროციტების ფორმის შესწავლით გამოვლინდა დისკოციტების რაოდენობის ზრდა თუთისებრი, სფეროსებრი და გუმბათისებრი ერითროციტების ხარჯზე.

ლაზერის სხივის ზემოქმედებიდან 24 და 72 საათის შემდეგ ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ჩვენს მიერ აღწერილი წითელი სისხლის მაჩვენებლების ცვლილებები შენარჩუნებული იყო, რაც მიგვანიშნებს ლაზერის სხივის მოქმედების ხანგრძლივ ეფექტზე. ეს ეფექტი კი გამოიხატება სისხლის ჰომეოსტაზის რეგულაციისა და რეოლოგიური თვისებების გაუმჯობესებაში და იმუნური თვისებების გაზრდაში. ლაზერის სხივის ასეთი დადებითი ეფექტი უკეთ არის გამოხატული სხივის წყვეტილი მოქმედებით, რაზეც ქვევით იქნება მსჯელობა.

ლაზერის სხივის მოქმედებით ჰომეოსტაზის რეგულაცია გამოიხატება ერითროციტების ცალკეული ფორმების შეფარდებითი რაოდენობის გადანაცვლებაში: ნორმოციტების შეფარდებითი რაოდენობის გაზრდაში, სამიზნე უჯრედების რაოდენობისა და თითოეული სამიზნეს ფართის მატებაში, აკანტოციტებისა და ერითროციტების პათოლოგიური, გახლჩილი და ნაოჭიანი ფორმების შეფარდებითი რაოდენობის შემცირებაში, უჯრედ-ჩრდილების რაოდენობის შემცირებაში, ე.ი. სისხლის იმ ელემენტებისა, რომლებისაგან გამოსულია ჰემოგლობინი (მცირდება ჰემოლიზის შესაძლებლობა). ჰემოგლობინის გამოსვლა დაკავშირებულია ფერმენტ გ-ნ-ფლ-ს - ერითროციტის "ენერგეტიკოსის" - რაოდენობის დეფიციტთან და, შესაბამისად, აქტიურობის დაქვეითებასთან.

რეოლოგიური თვისებების გაუმჯობესებაზე მიგვანიშნებს ჰემატოკრიტის შემცირება, ედს-ის მატება, დამუხტულობის დაქვეითება და შედეგად, აგრეგალობის შემცირება, ერითროციტების მემბრანის დეფორმირებადობის ზრდა - წაგრძელებული ფორმის ერითროციტებისა და დისკოციტების რიცხვის მატება.

იმუნური თვისებების ზრდა გამოიხატება ერითროციტების აქტიურ ჩართვაში ორგანიზმის იმუნურ პასუხში. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს სამიზნე ნორმოციტებისა და თითოეული ნორმოციტის სამიზნეს ფართობის ზრდა, მემბრანის დეფორმირებადობა, წაგრძელებული და მრგვალი ფორმის მიღება. ერითროციტების მემბრანის დამუხტულობის ხარისხი და ადჰეზიური (აღსორბციული) თვისებების მატება იმუნური მოქმედების ინტენსივობის



ზრდას გამოხატავს. ერთროციტები კი ადსორბციას ნეიტროფილებთან დალიმფოციტებთან ახდენენ. ადსორბციის უნარის ზრდით ერთროციტები მაკროფაგებს მოგვაგონებს, რითაც მათ აქვთ უნარი მოიცილონ სისხლიდან სხვადასხვა იმუნური კომპლექსები. ერთროციტების მაღალი ადსორბირების უნარი და მაღალი ენერგეტიკული შესაძლებლობანი და სხვ. მიმართულია, პირველ ყოვლისა, ორგანიზმის დაცვითი ფუნქციების გაძლიერებისაკენ.

რაც შეეხება ერთროციტების ფორმის შეცვლას – წაგრძელებული ერთროციტების გამოჩენას და რაოდენობის ზრდას, ეს მიგვანიშნებს ერთროციტების მიერ ჰემატოენცეფალური ბარიერის ადვილად დაძლევაზე (6).

ლაზერის სხივის უწყვეტი და წყვეტილი მოქმედების განსხვავებული ეფექტი (წყვეტილი ინტერვალებით მოქმედი ლაზერის სხივის უფრო ეფექტური მამოღულირებელი გავლენა) შეიძლება შემდეგნაირად აიხსნას.

ლაზერის სხივის ბიოლოგიური ეფექტი დაკავშირებულია მის ენერგეტიკულ პარამეტრებთან, რაც ჩართვის მომენტში მაქსიმალურად არის გამოხატული, ხოლო შემდგომ თანდათან კლებულობს. შესაძლოა, ჩართვა-გამორთვის და ამ მოქმედების მახასიათებლებს (ინტერვალი, მიმდევრობის სიხშირე და ა.შ.) ჰქონდეს რეზონანსურ-მექანიკური მექანიზმი (ე.წ. ტუმბოს ეფექტი), რომელიც ლაზერის სხივის უწყვეტი მოქმედების დროს ერთჯერადია, ხოლო წყვეტილი მოქმედებისას მრავლობითი. აქედან, რაც უფრო ხშირია ლაზერის ჩართვა, მით უფრო ეფექტურია მისი მოქმედება.

ლიტერატურა – ЛИТЕРАТУРА - REFERENCES

1. Бах А.Н., Зубкова С.Р. 1970. Собрание трудов по химии и биохимии, М., 1950.
2. Лазеры в клинической медицине. Под ред.Плетнева С.В., М., 1981.
3. Лазеры в хирургии. Под ред.Скобелкина О.К., М., 1989.
4. Покровский А.А. Биохимический барьер. М., 1970.
5. Применение лазеров в клинике и эксперименте. М., 1987.
6. Штерн А.С. Гематоэнцефалический барьер. М., 1970.
7. Kochaishvili D., Bekaia G. Bull.Georg.Acad.Sci., 1996, 3.
8. Mester E., Mester A.F., Mester A. Lasers Surg.Med., 1985, 5, 1, 31-39.
9. Siegel I., Liu T., Gleicher N. Lancet, 1981, 2, 556-566.
10. Shurr M.O., Fuchs B., Melzer A. Lasers. Endose Surg.Allied Technol., 1993, Aug.1, 4, 243-248.

INFLUENCE OF LASER BEAM EXPOSURE ON RED BLOOD INDICES

I.A.Lomidze

Tbilisi State Medical Academy

Summary

Changes in physiological, biochemical and morphological indices of blood under laser beam exposure (continuous and discrete) were studied. On the basis of experimental data analysis is shown that the laser irradiation has a immunomodulating influence on red blood cells. It improves rheological properties of blood and the function of Blood-Brain-Barrier.

Higher efficiency of discrete laser irradiation in comparison with continuous is also shown.

